პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 36-ე წელი № 133 (10219) | სამშაბათი, 7 ივნისი, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

საპარლამენტო ბიბლიოთეკა

ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხის ინტერესებისათვის

ამ დღეებში გამართული საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის მოლაპარაკების შედეგები მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრშია. მას კომენტარს უკეთებენ ყველა ქვეყნის გაზეთები, გაცხოველებით განიხილავენ სულ სხვადასხვა მიმართულების პოლიტიკური მოღვაწეები.

ყველა, ვისთვისაც ძვირფასია ხალხთა მშვიდობა და უშიშროება, მიესალმება საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის მთავრობების გულწრფელ მისწრაფებას — მოახდინონ ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობის სრული ნორმალიზაცია. საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის ურთიერთობის სრული ნორმალიზაცია შეესაბამება ორივე ქვეყნის ინტერესებს, იგი წვლილია საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საქმეში, მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცების საქმეში. ბელგრადის მოლაპარაკების შედეგები ხელს უწყობენ უკეთესი ვითარების შექმნას ევროპაში, რამაც თავის მხრივ არ შეიძლება გავლენა არ მოახდინოს მთელ საერთაშორისო მდგომარეობაზე.

საერთაშორისო საზოგადოებრიობა მიესალმება საბჭოთა კავშირის და იუგოსლავიის მთავრობების დეკლარაციას, მიიჩნევა რა, რომ იგი არა მარტო აცხადებს საერთაშორისო თანამშრომლობის დიდმნიშვნელოვან პრინციპებს, არამედ აგრეთვე განსაზღვრავს საერთაშორისო დაძაბულობის შენელების ბევრ კონკრეტულ ღონისძიებას.

დიდი კმაყოფილების გრძნობით შეხვდნენ საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის მოლაპარაკების შედეგებს ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხი და განსაკუთრებით საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელნი, რომლებიც მრავალი წლის განმავლობაში საერთო საქმისათვის ერთობლივი ბრძოლით იყვნენ დაკავშირებულნი იუგოსლავიის მამაც პატრიოტებთან.

ცნობილია, რომ ამ უკანასკნელ წლებში იუგოსლავიასა და მის მეზობლებს — ბულგარეთს, რუმინეთს, ალბანეთსა და უნგრეთს შორის ურთიერთობის დარღვევას იმპერიალისტები იყენებდნენ ევროპაში საერთაშორისო დაძაბულობის გაძლიერებისათვის. სახალხო დემოკრატიის ქვეყნებსა და იუგოსლავიას შორის მეგობრული ურთიერთობის აღდგენა ახალი წვლილი იქნება ევროპის მშვიდობის განმტკიცების საქმეში.

განსაკუთრებული აღფრთოვანებით შეხვდნენ ბულგარელი და რუმინელი ხალხები საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაციას ამხანაგების ნ. ს. ხრუშჩოვის, ნ. ა. ბულგანინის, ა. ი. მიკოიანის შემადგენლობით, რომელიც ბელგრადიდან ბრუნდებოდა. სოფიასა და ბუქარესტში ასეულათასობით ადამიანი გამოვიდა საბჭოთა ხელმძღვანელების შესახვედრად. ეს დაუვიწყარი შეხვედრები ახალი გამოვლინებაა თავისუფალ ხალხთა მეგობრობისა, რომელიც დღითიდღე მტკიცდება, მათი მონოლითური დარაზმულობისა.

სოფიაში სსრ კავშირის მთავრობის დელეგაციასა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის გამართულმა აზრთა გაცვლამ საერთაშორისო მდგომარეობისა და მშვიდობის საქმის განმტკიცების საკითხებზე ცხადყო ორივე ქვეყნის ერთსულოვნება ამ მდგომარეობის გაგებასა და შეფასებაში. გამოირკვა შეხედულებათა სრული ერთიანობა როგორც სსრ კავშირსა და იუგოსლავიას შორის, ისე ბულგარეთსა და იუგოსლავიას შორის მეგობრული თანამშრომლობის დამყარების საკითხებზე. საბჭოთა კავშირისა და ბულგარეთის მეგობრული თანამშრომლობა იუგოსლავიასთან, როგორც აღინიშნა სოფიის მოლაპარაკების დროს, ხელს შეუწყობს ბულგარეთის, აგრეთვე საბჭოთა კავშირის ურთიერთობის გაუმჯობესებას მათ მეზობელ ისეთ ქვეყნებთან, როგორიც არიან საბერძნეთი და თურქეთი.

საბჭოთა მთავრობის დელეგაციას ბუქარესტშიც ჰქონდა შეხვედრები და აზრთა ფართოდ გაცვლა რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ხელმძღვანელ მოღვაწეებთან. საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაციამ გააცნო ჩვენს მეგობრებს იუგოსლავიაში მოლაპარაკების მსვლელობა. ბუქარესტში აზრთა საჯარო გაცვლის შედეგად დადასტურდა რუმინეთის, უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის ხელმძღვანელ მოღვაწეთა სრული ერთსულოვნება ყველა საერთაშორისო საკითხში, რომლებიც ეხება ამ სახელმწიფოთა ინტერესებს, და გამოითქვა კმაყოფილება სსრ კავშირსა და იუგოსლავიას შორის მიღწეული მეგობრული თანამშრომლობის გამო. რუმინეთის, უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის ხელმძღვანელი მოღვაწეები მიესალმნენ სსრ კავშირსა და იუგოსლავიას შორის მიღწეულ შეთანხმებას და თავის მხრივ გამოთქვეს იმედი და რწმენა, რომ მათს ქვეყნებსა და იუგოსლავიას შორის მიღწეულ იქნება მეგობრული თანამშრომლობა მშვიდობისა და სოციალიზმის საქმის შემდგომი განმტკიცების ინტერესებისათვის.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მთელ პრესას საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის მოლაპარაკების შედეგები მიაჩნია დიდმნიშვნელოვან ნაბიჯად, რომელიც შეესაბამება მშვიდობისა და სოციალიზმის ინტერესებს.

„საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის ურთიერთობის სრული ნორმალიზაცია და საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის ხალხებს შორის მეგობრობის განმტკიცება, — ხაზგასმით აღნიშნავს მოწინავე სტატიაში ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო გაზეთი „ენენმინეიბაო“, — შეესაბამება საყოველთაო მშვიდობის, სოციალიზმის ინტერესებს და უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო მუშათა მოძრაობის განვითარებისათვის“. „ენენმინეიბაო“ აგრეთვე აღნიშნავს, რომ ჩინელი ხალხისათვის დიდი მხარდაჭერაა სსრ კავშირისა და იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის მთავრობების განცხადება იმის შესახებ, რომ ისინი მოითხოვენ დაკმაყოფილდეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერი მოთხოვნები ტაივანის მიმართ და აღდგენილ იქნას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერი წარმომადგენლობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფოების გაზეთები ყურადღებას უთმობენ იმას, რომ დაისახა რეალური შესაძლებლობანი იუგოსლავიასთან ურთიერთობის შენდგომი განვითარებისა მეგობრული თანამშრომლობის სულისკვეთებით. „უკვე რამდენიმე ხნის წინათ, — წერს უნგრეთის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო გაზეთი „საბად ნეპი“, — დაიწყო ურთიერთობის ნორმალიზაცია უნგრეთისა და იუგოსლავიის სახელმწიფოებს შორის. უნგრელ ხალხს, რომელიც მრავალსაუკუნოვანი მეგობრობით არის დაკავშირებული იუგოსლავიის ხალხებთან, მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი იაროს ჩვენს სახელმწიფოებს შორის ურთიერთობის შემდგომი ნორმალიზაციის გზით საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის ისტორიული დეკლარაციის შესაბამისად“.

საბჭოთა კავშირსა, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებსა და იუგოსლავიას შორის მეგობრული ურთიერთობის დამყარება შეესაბამება მთელი საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ინტერესებს, ყველა ქვეყნის მშრომელთა ინტერესებს. კომუნისტური და მუშათა პარტიების საინფორმაციო ბიუროს ორგანომ გაზეთმა „მტკიცე მშვიდობისათვის, სახალხო დემოკრატიისათვის!“ სამართლიანად განაცხადა თავის მოწინავე სტატიაში, რომ საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის დეკლარაცია „შეესაბამება ყველა ქვეყნის მუშათა კლასის სასიცოცხლო ინტერესებს, მთელი საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ინტერესებს“. კაპიტალისტურ ქვეყნებში მომძე კომუნისტური პარტიები ერთსულოვნად აღნიშნავენ დეკლარაციის დიდ მნიშვნელობას საერთაშორისო მუშათა მოძრაობის მთელი ძალების კონსოლიდაციისათვის.

ამასთან არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის მოლაპარაკების შედეგებმა გაბრაზება გამოიწვია იმპერიალისტურ სახელმწიფოთა აგრესიულ წრეებში. საერთაშორისო რეაქციულ წრეებს არასგზით არა სურთ შეურიგდნენ იმას, რომ იუგოსლავია — სუვერენული სახელმწიფო, რომელმაც შეძლო შეენარჩუნებინა თავისი ეროვნული დამოუკიდებლობა იმპერიალისტური ბანაკის წინაშე, — მშვიდობის განმტკიცების გზით მიდის.

საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის მოლაპარაკების შედეგები აღფრთოვანებს ყველა ხალხს მშვიდობისათვის, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის საბრძოლველად. საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ხალხებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი კვლავაც ყოველი ღონისძიებით შეუწყონ ხელი იუგოსლავიის ხალხებთან მეგობრობის გაფართოებასა და განმტკიცებას. იუგოსლავიასთან საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ყოველმხრივი თანამშრომლობის შემდგომი გაფართოებისათვის არსებობს ყველა პირობა — ჩვენი ქვეყნების ხალხთა საუკუნეობრივი ისტორიული მეგობრობა, რევოლუციური მოძრაობის სახელოვანი ტრადიციები, საჭირო ეკონომიური ბაზა და საერთო იდეალები მშრომელთა მშვიდობიანი კეთილდღეობისა და ბედნიერებისათვის ბრძოლაში.

„პრავდის“ 6/VI მოწინავე.

კ ო მ უ ნ ი კ ე

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაციის ყოფნის შესახებ

როცა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში მისი მთავრობის მოწვევით იყო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობის დელეგაცია, რომელშიც შედიან: ნ. ს. ხრუშჩოვი — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ნ. ა. ბულგანინი — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და ა. ი. მიკოიანი — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, გაიმართა აზრთა გაცვლა სსრ კავშირის მთავრობის დელეგაციასა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის საერთაშორისო მდგომარეობისა და მშვიდობის საქმის განმტკიცების საკითხებზე, რამაც ცხადყო ორივე ქვეყნის სრული ერთსულოვნება ამ მდგომარეობის გაგებასა და შეფასებაში.

საბჭოთა დელეგაციის წევრებმა ბულგარეთის ხელმძღვანელებს გააცნეს თავიანთი მოლაპარაკება იუგოსლავიასთან და აზრთა გაცვლისას გამოირკვა შეხედულებათა სრული ერთიანობა როგორც სსრ კავშირსა და იუგოსლავიას შორის, ისე ბულგარეთსა და იუგოსლავიას შორის მეგობრული თანამშრომლობის დამყარების საკითხებზე.

მოლაპარაკების მსვლელობაში მხარეებმა მიიღეს შეთანხმებული აზრი, რომ საბჭოთა კავშირისა და ბულგარეთის მეგობრული თანამშრომლობა იუგოსლავიასთან ხელს შეუწყობს ბულგარეთის, აგრეთვე საბჭოთა კავშირის ურთიერთობის გაუმჯობესებას მათ მეზობელ ისეთ ქვეყნებთან, როგორიც არიან საბერძნეთი და თურქეთი.

აზრთა გაცვლა სსრ კავშირის მთავრობის დელეგაციასა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის მიმდინარეობდა სრული ურთიერთგაგების სულისკვეთებით, მეგობრობისა და გულითადობის ვითარებაში.

კ ო მ უ ნ ი კ ე

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკაში საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაციის ყოფნის შესახებ

ბუქარესტში ჩასული საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობის დელეგაცია, რომელშიც შედიან: ნ. ს. ხრუშჩოვი — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ნ. ა. ბულგანინი — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და ა. ი. მიკოიანი — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, შეხვდა გეორგე გეორგიუ-დეჟს — რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, პეტრუ გროზას — დიდი ეროვნული კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარეს და გეორგე აპოსტოლს — რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანს და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელ მოღვაწეებს, აგრეთვე რუმინეთის სახალხო რესპუბლიკაში მეგობრული ვიზიტით ჩასულ მატიას რაკოშის — უნგრეთის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს და ანდრაშ ჰეგედიუშს — უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, ანტონინ ნოვოტნს — ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს და ირჟი გენდრიხს — ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს, რომლებთანაც ჰქონდა აზრთა ფართოდ გაცვლა.

საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაციამ ამ საუბრებში გააცნო მათ იუგოსლავიაში თავისი მოლაპარაკების მსვლელობა. განხილულ იქნა საერთაშორისო პოლიტიკის ყველა საკითხი, რომლებსაც ეხება საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის მთავრობათა დეკლარაცია.

ბუქარესტში აზრთა საჯარო გაცვლის შედეგად დადასტურდა რუმინეთის, უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის ხელმძღვანელ მოღვაწეებთან სრული ერთსულოვნება ყველა საერთაშორისო საკითხში, რომლებიც ეხება ამ სახელმწიფოების ინტერესებს, და გამოითქვა კმაყოფილება სსრ კავშირსა და იუგოსლავიას შორის მიღწეული თანამშრომლობის გამო.

რუმინეთის, უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის ხელმძღვანელი მოღვაწეები მიესალმნენ სსრ კავშირსა და იუგოსლავიას შორის შეთანხმებას და თავის მხრივ გამოთქვეს იმედი და რწმენა, რომ მათს ქვეყნებსა და იუგოსლავიას შორის მიღწეულ იქნება მეგობრული თანამშრომლობა მშვიდობისა და სოციალიზმის საქმის შემდგომი განმტკიცების ინტერესებისათვის.

აზრთა გაცვლა ბუქარესტში წარმოებდა სრული ურთიერთგაგების სულისკვეთებით, გულითადობისა და მეგობრობის ვითარებაში.

საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაციის ჩასვლა ბუქარესტში

ბუქარესტი, 4 ივნისი. (საკადესი). რუმინეთის მთავრობისა და რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწვევით დღეს, 4 ივნისს, ბუქარესტში ოფიციალური მეგობრული ვიზიტით ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაცია, რომელშიც შედიან ამხანაგები ნ. ს. ხრუშჩოვი, ნ. ა. ბულგანინი და ა. ი. მიკოიანი და რომელმაც მონაწილეობა მიიღო საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის ბელგრადის მოლაპარაკებაში.

ბენიასის აეროდრომზე დელეგაციას შეხვდნენ რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გეორგე გეორგიუ-დეჟი, დიდი ეროვნული კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარე პეტრუ გროზა, რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გეორგე აპოსტოლი, რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები იოსებ კინშინევსკი, კივუ სტოიკა, ალექსანდრუ მოგიოროში, მირონ კონსტანტინესკუ, ემილ ბოდნარაში, კონსტანტინე პირვულესკუ, პეტრე ბორილა, პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატები დ. კოლიუ, ნ. ჩაუშესკუ, ა. დრეგიჩი, რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. ფაზეკაში, „არლუსის“ გენერალური საბჭოს თავმჯდომარე აკადემიკოსი კ. ი. პარხონი, მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ტროიან სავულესკუ, რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები, მინისტრები, პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ს. მორარუ და სხვა პირები, გაზეთ „მტკიცე მშვიდობისათვის, სახალხო დემოკრატიისათვის!“ რედაქტორი აკადემიკოსი მ. ბ. მიტინი, აგრეთვე რუმინეთში მეგობრული ვიზიტით ჩამოსულნი — უნგრეთის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი მატიას რაკოში და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ანდრაშ ჰეგედიუში, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ანტონინ ნოვოტნი და ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ირჟი გენდრიხი.

საბჭოთა მთავრობის დელეგაციას შეხვდნენ აგრეთვე სსრ კავშირის დროებითი საქმეთა რწმუნებული რუმინეთში პ. ს. დედუშკინი და საელჩოს თანამშრომლები, ბუქარესტში აკრედიტებული საელჩოთა და მისიათა მეთაურები.

აეროდრომი მორთული იყო სსრ კავშირისა და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ალმებით. სტუმრების შესახვედრად ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული და შესრულებულ იქნა საბჭოთა კავშირისა და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები.

საბჭოთა მთავრობის დელეგაცია აეროდრომიდან მწვანეში ჩაფლული და საბჭოთა კავშირისა და რუმინეთის ალმებით მორთული კისელიოვის გზატკეცილით გაემართა გამარჯვების მოედანზე, სადაც მოეწყო მშრომელთა მიტინგი.

საბჭოთა მთავრობის დელეგაციის წევრებს გზაზე მხურვალედ ესალმებოდა რუმინეთის დედაქალაქის ათეულ ათასობით მცხოვრები დროშებით, პორტრეტებითა და პლაკატებით.

მიტინგის დაწყების წინ, რომელსაც 300 ათასი კაცი დაესწრო, საბჭოთა მთავრობის დელეგაციამ რუმინეთის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში დაღუპულ საბჭოთა მეომრების ძეგლი შეამკო გვირგვინით, რომელსაც აქვს წარწერა: „საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაციისაგან საბჭოთა არმიის მამაც მეომრებს, რომლებიც დაღუპნენ ფაშიზმისაგან მომძე რუმინელი ხალხის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში.“

მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გეორგე გეორგიუ-დეჟმა, რომელიც რუმინელი ხალხის, მთავრობისა და რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით მხურვალედ მიესალმა საბჭოთა მთავრობის დელეგაციის წევრებს.

ამხანაგ გეორგე გეორგიუ-დეჟის სიტყვა

ამხანაგებო! ქალაქ ბუქარესტის მშრომელებო!

დღეს ჩვენ წილად გვხვდა დიდი პატივი და სიხარული, რომ რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქში მივესალმოთ ჩვენი ხალხის ძვირფას სტუმრებს, საბჭოთა კავშირის სახელოვანი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელებს, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში ჩამოვიდნენ მეგობრული ვიზიტით, — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხანაგ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში. შეძახილები: „ვაშა!“)**, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე ბულგანინს **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში. შეძახილები: „ვაშა!“)**, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს ამხანაგ ანასტას ივანეს-ძე მიკოიანს **(ხანგრძლივი ტაში. შეძახილები: „ვაშა!“)**.

ძვირფასო სტუმრებო! ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის მოქალაქეთა და მთელი რუმინელი ხალხის სახელით სულით და გულით გეუბნებით: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ჩვენს ქვეყანაში!“ **(ხანგრძლივი ტაში. შეძახილები: „ვაშა!“)**.

ამავე დროს გულთბილად მივესალმებით ჩვენს შორის მყოფ მომძე უნგრელი ხალხის ხელმძღვანელებს — უნგრეთის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს მატიას რაკოშს **(ხანგრძლივი ტაში. შეძახილები: „ვაშა!“)** და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ანდრაშ ჰეგედიუშს. **(ტაში. შეძახილები: „ვაშა!“)**.

გულთბილად მივესალმებით ჩვენს შორის მყოფ ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხანაგ ანტონინ ნოვოტნის და მომძე ჩეხოსლოვაკიის ხალხის სხვა წარმომადგენლებს. **(ტაში. შეძახილები: „ვაშა!“)**.

ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში ამხანაგების ხრუშჩოვის, ბულგანინისა და მიკოიანის ყოფნა მკაფიოდ გამოხატავს ურღვევ მეგობრობას რუმინეთის სახალხო რესპუბლიკასა და დიდ საბჭოთა კავშირს შორის, რომელმაც რუმინეთი გაათავისუფლა ჰიტლერული უღლისაგან და რომელიც ძმურ დახმარებას უწევს რუმინელ ხალხს სოციალიზმის მშენებლობისა და ჩვენი სამშობლოს ეკონომიური და კულტურული დონის ამაღლების საქმეში. **(ტაში).**

მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკის რიგებში, რომელიც ძლიერია თავისი ურღვევი ერთიანობით, დიდ საბჭოთა ხალხს, დიდ ჩინელ ხალხს, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ხალხებს, რომლებიც გაერთიანებული არიან საერთო მიზნებით და მისწრაფებებით, გადამწყვეტი წვლილი შეაქვთ მთელი მსოფლიოს მშვიდობის დაცვის საქმეში, ხალხთა უშიშროებისა და დამოუკიდებლობის საქმეში. **(ხანგრძლივი ტაში. მიტინგის დამსწრენი იმეორებენ: „სსრ კავშირი მშვიდობის ბასტიონია!“)**.

რუმინელი ხალხი და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა სიხარულით და კმაყოფილებით მიესალმებიან საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის მოლაპარაკების დადებით შედეგებს და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის მთავრობათა დეკლარაციას, რომელსაც მათი მთავრობების სახელით ხელი მოაწერეს ამხანაგებმა ბულგანინმა და ტიტომ.

ამრიგად, საბჭოთა კავშირმა და იუგოსლავიამ დიდი წვლილი შეიტანეს ხალხთა თანამშრომლობის განმტკიცებისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საქმეში, მშვიდობისა და სოციალიზმის საქმეში. რუმინელი ხალხი, ისევე როგორც სახალხო დემოკრატიის ქვეყნების სხვა ხალხები, როგორც ყველა ქვეყნის მშვიდობისმოყვარე ხალხები და მშრომელები, მხურვალედ უჭერს მხარს დეკლარაციაში ჩამოყალიბებულ პრინციპებს.

რუმინელ ხალხს, რომელიც საუკუნეობრივი მეგობრობით დაკავშირებულია იუგოსლავიის ხალხთან, ახარებს ყოველი ახალი ნაბიჯი რუმინეთის სახალხო რესპუბლიკისა და იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის ურთიერთობის გაუმჯობესების გზაზე. რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი კვლავაც განუხრელად შეუწყოს ხელი იუგოსლავიის ფედერაციულ სახალხო რესპუბლიკასთან მეგობრული, კეთილმეზობლური ურთიერთობისა და თანამშრომლობის ნორმალიზაციისა და განვითარების საქმეს.

ჩვენი შრომისმოყვარე ხალხი დაუცხრომლად შრომობს, რათა გაამრავლოს თავისი სამშობლოს სიმდიდრე და

(დასასრული მე-2 გვერდზე).



მიტინგი კოლმეურნეობათა მოედანზე 1955 წლის 5 ივნისს — სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მუშაობის განახლების დღეს. მიტინგს ხსნის გამოფენის მთავარი კომიტეტის თავმჯდომარე, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების მინისტრი ამხ. ბენედიქტოვი.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

ამხანაგ გეორგე გეორგიუ-დეჟის სიტყვა

(დასასრული)

გაზარდოს მისი სიმძლავრე, უზრუნველყოს სოციალიზმის გამარჯვება ჩვენს ქვეყანაში, რომელიც მიდის მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალინის მიერ ნაჩვენები ნათელი გზით. რუმინელი ხალხი ღრმად გამსჭვალულია იმის შეგნებით, რომ თავისი შრომით მას წვლილი შეაქვს სოციალიზმის ბანაკის განმტკიცების საქმეში, მშვიდობის დაცვის საქმეში.

ძვირფასო სტუმრებო! რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი ეროვნული კრების პრეზიდიუმის, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის, რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით, ჩვენი ქვეყნის ყველა ეროვნების მშრომელებისა და მთელი ჩვენი ხალხის სახელით მგზნებარე ძმურ სალამს გიძღვნით! **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში. შეძახილები: „ვაშა!“).**

გაუმარჯოს რუმინეთ-საბჭოთა კავშირის სამარადისო მეგობრობას! **(ხანგრძლივი ტაში. შეძახილები: „ვაშა!“).**

გაუმარჯოს მშვიდობისა და სოციალიზმის ბანაკის ქვეყნების მეგობრობასა და ურღვევ ერთიანობას! **(ტაში).**

გაუმარჯოს მშვიდობას ხალხთა შორის! ვაშა! **(მქუხარე, ხანგრძლივი ოვაცია. ისმის შეძახილები: „ვაშა!“).**

* * *

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა, რომელსაც შეხვდნენ მქუხარე, ხანგრძლივი ოვაციით და შეძახილებით „ვაშა!“.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

ძვირფასო ამხანაგო გეორგიუ-დეჟ!

ძვირფასო ამხანაგებო, რუმინეთის მუშათა პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებო!

ძვირფასო ამხანაგებო, რუმინეთის დედაქალაქის მშრომელებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით მოხარული ვართ გულითადი ძმური სალამი გადმოგცეთ თქვენ და თქვენი სახით მთელ რუმინელ ხალხს! **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში, რომელიც ოვაციად იქცევა. მრავალი შეძახილი: „ვაშა!“, „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს!“).**

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელებმა მოგვიწვიეს გვენახა თქვენი ქვეყანა, და ჩვენ სულით და გულით გიძღვნით მადლობას ჩვენთვის აღმოჩენილი ყურადღებისა და სტუმართმოყვარეობისათვის. ჩვენი დელეგაციის გულთბილი და გულწრფელი შეხვედრა საბჭოთა და რუმინელი ხალხების ურღვევი მეგობრობის ერთ-ერთი გამოხატულებაა.

უდიდესი კმაყოფილებით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ საბჭოთა და რუმინელი ხალხების მეგობრობა და მტკიცე თანამშრომლობა დღითიდღე ვითარდება და მტკიცდება ჩვენი ხალხების საკეთილდღეოდ.

მემამულურ-კაპიტალისტური წყობილების დამხობის შემდეგ განვლილ წლებში, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკაში განხორციელებულია უდიდესი დემოკრატიული და სოციალისტური გარდაქმნები. რუმინელმა მშრომელებმა, აიღეს რა ძალაუფლება თავიანთ ხელში, აირჩიეს განვითარების ერთადერთი სწორი გზა — სოციალიზმის მშენებლობის გზა. ამ გზაზე რუმინეთის მშრომელებმა მუშათა პარტიის ხელმძღვანელობით, მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით დიდი წარმატებანი მოიპოვეს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის განვითარებაში, კულტურულ მშენებლობაში. თავიანთი თავისუფალი და დამოუკიდებელი სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნისა და განმტკიცების საქმეში.

საბჭოთა ადამიანებს თქვენთან ერთად ახარებთ თქვენი წარმატებანი, ისევე როგორც წარმატებანი, რომლებიც ყველა სახალხო-დემოკრატიული ქვეყნის მშრომელებმა მოიპოვეს.

საბჭოთა ხალხის სახელით სულით და გულით ვუსურვებთ თქვენი რესპუბლიკის ქალაქებისა და სოფლების მშრომელებს, ნავთობის მრეწველობის მუშაკებს, მანქანათმშენებლებს, მთელ მუშათა კლასს, მშრომელ გლეხებს, გონებრივი შრომის მუშაკებს, მთელ რუმინელ ხალხს შემდგომ წარმატებებს შემოქმედებითს საქმიანობაში, რომლის მიზანია რუმინეთის თავისუფალი სახელმწიფოს აყვავება, ახალ მიღწევათა მოპოვება სოციალისტურ მშენებლობაში. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში. შეძახილები: „ვაშა!“).**

ამხანაგებო! გუშინ გამოქვეყნდა საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის მთავრობათა დეკლარაცია, რომელშიც შეჯამებულია საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის იმ მოლაპარაკების შედეგები, რომელიც 27 მაისიდან 2 ივნისამდე მიმდინარეობდა. ეს მოლაპარაკება კარგი შედეგებით დაგვირგვინდა და გამოიწვია ბევრი გადაუჭრელი საკითხის გადაჭრა საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის ურთიერთობაში. შექმნილია მტკიცე საფუძველი, რომელზეც განვითარდება საბჭოთა ხალხისა და იუგოსლავიის ხალხის მეგობრობა და თანამშრომლობა. ეს შედეგები შესაძლებელი გახდა იმის მეოხებით, რომ ორივე დელეგაციამ, მიიღო რა სათანადო ღონისძიებანი, მიაღწია სრულ ურთიერთგაგებას როგორც იმ საკითხებში, რომლებიც სსრ კავშირისა და იუგოსლავიის ურთიერთობას ეხებიან, ისე უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო პრობლემებში.

საბჭოთა კავშირსა და იუგოსლავიას შორის ურთიერთობის სრულ ნორმალიზაციას უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო სსრ კავშირისა და იუგოსლავიისათვის, არამედ სხვა მშვიდობისმოყვარე ხალხებისთვისაც, მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისათვის. **(ტაში).**

კეთილი ურთიერთობის დარღვევა, რასაც ადგილი ჰქონდა საბჭოთა კავშირსა და იუგოსლავიას შორის, ხელსაყრელი იყო მხოლოდ იმპერიალისტური რეაქციის ძალებისათვის, მშვიდობის მტრებისათვის.

საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის მოლაპარაკება და მისი შედეგები ახალი წვლილია საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საქმეში და მნიშვნელოვან როლს შეასრულებს აგრესიის ძალებისადმი წინააღმდეგობაში, მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცებაში. **(ხანგრძლივი ტაში. შეძახილები: „ვაშა!“).**

ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხი დიდი კმაყოფილებით შეხვდა საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის მოლაპარაკების შედეგებს. რწმენას გამოვთქვამთ, რომ საბჭოთა ხალხთან ერთად საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის მოლაპარაკების შედეგებს მოიწონებენ რუმინელი ხალხი და სახალხო დემოკრატიის სხვა ქვეყნების ხალხები, იმიტომ რომ ჩვენი ქვეყნების მეგობრობა და თანამშრომლობა იუგოსლავიასთან შეესაბამება მშვიდობისა და სოციალიზმის ინტერესებს. **(ტაში).**

ამხანაგებო! ჩვენ არ უნდა შევასუსტოთ ჩვენი ღონისძიებანი საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის ბრძოლაში, მშვიდობის საქმისათვის ბრძოლაში. მშვიდობისმოყვარე ხალხთა ვალია გააძლიერონ თავიანთი სიფხიზლე იმპერიალისტი აგრესორების ხრიკების მიმართ, დარაზმონ ძალები, განამტკიცონ თავიანთი რიგების ერთიანობა.

იცავენ რა მშვიდობის საქმეს, საბჭოთა კავშირის, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის, დიდი ჩინეთის, სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყნის ხალხები მტკიცედ მიდიან წინ ნათელი მომავლისაკენ, ხელმძღვანელობენ რა მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე მოძღვრებით. **(ტაში).**

ნება მიბოძეთ ერთხელ კიდევ გისურვოთ თქვენ, ჩვენს რუმინელ მეგობრებს, ყოველგვარი წარმატება რუმინეთის სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფოს აყვავებისათვის ბრძოლის საქმეში, სოციალიზმის მშენებლობის საქმეში. **(ტაში).**

გაუმარჯოს რუმინელ ხალხს! **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში, რომელიც ოვაციად იქცევა. შეძახილები: „ვაშა!“).**

დაე განმტკიცდეს და განვითარდეს საბჭოთა და რუმინელი ხალხების ურღვევი ძმური მეგობრობა! **(მქუხარე, ხანგრძლივი ოვაცია. მრავალი შეძახილი: „ვაშა!“, „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს — მშვიდობის ბურჯს!“).**

გუქარესტიდან გამოემგზავრა საბჭოთა კავშირის მთავროგის დელეგაცია

ბუქარესტი, 5 ივნისი. (საკდესი). დღეს ბუქარესტიდან მოსკოვს თვითმფრინავით გაემგზავრა საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაცია ამხანაგების ნ. ს. ხრუშჩოვის, ნ. ა. ბულგანინისა და ა. ი. მიქოიანის შემადგენლობით, რომელიც რუმინეთში ოფიციალური მეგობრული ვიზიტით იმყოფებოდა რუმინეთის მთავრობისა და რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწვევით.

აეროდრომზე დელეგაცია გააცილეს რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გ. გეორგიუ-დეჟმა, დიდი ეროვნული კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარემ პეტრუ გროზამ, რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა გეორგე აპოსტოლმა, რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებმა იოსებ კიშინევსკიმ, კივუ სტოიკამ, ალექსანდრუ მოგიოროშმა, მირონ კონსტანტინესკუმ, ემილ ბოდნარაშმა, კონსტანტინე პირვულესკუმ, პეტრე ბორილამ, პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატებმა დ. კოლნუმ, ნ. ჩაუშესკუმ და ა. დრეგიჩმა, რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ი. ფაზეკაშმა, „არლუსის“ გენერალური საბჭოს თავმჯდომარემ აკადემიკოსმა კ. ი. პარხონმა, რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრებმა, მინისტრებმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა, გაზეთ „მტკიცე მშვიდობისათვის, სახალხო დემოკრატიისათვის!“ რედაქტორმა აკადემიკოსმა მ. ბ. მიტინმა, აგრეთვე რუმინეთში მეგობრული ვიზიტით ჩამოსულებმა — უნგრეთის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა მატიას რაკოშმა, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ანდრაშ ჰეგედიუშმა, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ანტონინ ნოვოტნიმ და ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ირჟი გენდრიხმა.

საბჭოთა მთავრობის დელეგაცია გააცილეს აგრეთვე სსრ კავშირის დროებითმა საქმეთა რწმუნებულმა რუმინეთში პ. ს. დედუშკინმა და საბჭოთა საელჩოს პასუხისმგებელმა თანამშრომლებმა, აგრეთვე ბუქარესტში აკრედიტებულმა საელჩოთა და მისიათა მეთაურებმა და წევრებმა.

საბჭოთა სტუმრების აეროდრომზე გასაცილებლად დროშებით, პორტრეტებითა და პლაკატებით მოვიდა რუმინეთის დედაქალაქის მრავალი ათასი მშრომელი. პიონერებმა ამხანაგებს ნ. ს. ხრუშჩოვს, ნ. ა. ბულგანინსა და ა. ი. მიქოიანს ცოცხალი ყვავილების თაიგულები მიართვეს.

აეროდრომი მორთული იყო საბჭოთა კავშირისა და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ალმებით. სტუმრების გაცილების დროს ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული და შესრულებულ იქნა სსრ კავშირისა და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები.

მოსკოვს დაბრუნდა საბჭოთა კავშირის მთავროგის დელეგაცია

5 ივნისს იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის მთავრობასთან მოლაპარაკების შემდეგ მოსკოვს დაბრუნდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობის დელეგაცია, რომელშიც შედიან: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ნ. ს. ხრუშჩოვი (დელეგაციის მეთაური), სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ბულგანინი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიქოიანი (მთავრობის დელეგაციის დანარჩენი წევრები უფრო ადრე დაბრუნდნენ მოსკოვში).

ბელგრადიდან მოსკოვს წამოსული ამხანაგები ნ. ს. ხრუშჩოვი, ნ. ა. ბულგანინი და ა. ი. მიქოიანი იყვნენ ქალაქებში სოფიასა და ბუქარესტში, სადაც ჰქონდათ აზრთა გაცვლა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისა და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობებთან, აგრეთვე ბუქარესტში მყოფ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის დელეგაციებთან.

მოსკოვში აეროდრომზე საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაციას შეხვდნენ ამხანაგები კ. ე. ვოროშილოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, გ. მ. მალენკოვი, ვ. მ. მოლოტოვი, მ. გ. პერვუხინი, მ. ზ. საბუროვი, პ. ნ. პოსპელოვი, მ. ა. სუსლოვი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები, სსრ კავშირის მინისტრები, საბჭოთა კავშირის მარშლები, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს, სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკები, მოსკოვის საბჭოს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოსკოვის კომიტეტისა და მოსკოვის საქალაქო კომიტეტის ხელმძღვანელები, აგრეთვე იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის დროებითი საქმეთა რწმუნებული სსრ კავშირში ბ. ოსოლნიკი, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ი. რაბი და ამ ქვეყნების საელჩოების თანამშრომელნი. (საკდესი).

მუშაობა განაახლა სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენამ

მიტინგი კოლმეურნეოგათა მოედანზე

5 ივნისს მუშაობა განაახლა სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენამ. მთავარ შესასვლელთან სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ალმებია. ქარი აფრიალებს წითელ ვიმპელებს, რომლებსაც გაკეთებული აქვთ სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ოქროსფერი ემბლემა. ტრანსპარანტებს აწერია გამოფენის მონაწილეებისადმი მისალმების სიტყვები.

კვირას დილით გამოფენის მრავალი ათასი სადღესასწაულოდ მორთული მონაწილე და სტუმარი მოვიდა შესანიშნავ ქალაქ-ბაღში. მთავარი შესასვლელიდან იწყება აყვავებული ვაშლისხეების ხეივანი. ირგვლივ ყველაფერი ჰყვავის. გამოფენის პავილიონები კვლავ და კვლავ იპყრობენ ყურადღებას არქიტექტურულ ფორმათა სილამაზით.

შუადღისათვის გამოფენის სტუმრებითა და მონაწილეებით აივსო კოლმეურნეობათა ვრცელი მოედანი. დღის 12 საათზე გაიხსნა მიტინგი. გრანიტის ტრიბუნებზე, მთავარი პავილიონის წინ, არიან მთავრობის წევრები, სოფლის მეურნეობის მოწინავეები, დედაქალაქის პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

1955 წლის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის გახსნა. საქართველოს პავილიონის მთავარი აგრონომი ამხ. მეკავანაძე საქართველოს სსრ პავილიონთან აღმართავს საქართველოს სს რესპუბლიკის სახელმწიფო ალამს.

* * *

გამოფენის გახსნას ესწრებიან დიპლომატიური კორპუსის წევრები და უცხო ქვეყნებიდან ჩამოსული სტუმრები.

მიტინგს მოკლე სიტყვით ხსნის გამოფენის მთავარი კომიტეტის თავმჯდომარე ი. ა. ბენედიქტოვი. იგი ამბობს, რომ სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების მოწინავე გამოცდილებისა და მიღწევების შესწავლის უდიდესი ცენტრი გახდა. იგი უნდა დაეხმაროს სოფლის მუშაკებს წარმატებით განახორციელონ უდიდესი ამოცანები, რომლებიც კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ დასახეს სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის. მეცნიერების მოწინავე გამოცდილება და მიღწევები, ამბობს ამხ. ბენედიქტოვი, უნდა გახდეს თვითეული კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის, მანქანა-ტრაქტორთა სადგურის, თვითეული სამეცნიერო დაწესებულების კუთვნილება.

სიტყვა ეძლევა სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის დირექტორს აკადემიკოს ნ. ვ. ციცინს, რომელიც მხურვალედ მიესალმება ექსკურსანტებსა და სტუმრებს.

— წელს გამოფენა გაცილებით უფრო მდიდარია თავისი შინაგანი შინაარსით, — ამბობს ამხ. ციცინი. — იგი გვიჩვენებს, თუ როგორ ახორციელებს საბჭოთა ხალხი სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის დიდებულ პროგრამას. სოციალისტური შეჯიბრების შედეგად, რომელიც გაჩაღდა 1955 წლის გამოფენაში მონაწილეობის უფლებისათვის, მის მონაწილეთა რიცხვმა 200 ათასს გადააჭარბა. თვითეულ პავილიონში მნახველი ხედავს შემოქმედებითი შრომის რეალურ და დამაჯერებელ შედეგებს.

გამოფენის ექსპონატები გვიჩვენებენ, რომ სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მკვეთრი აღმავლობის პროგრამის განხორციელება შესაძლებელი გახდა იმ წარმატებათა მეოხებით, რომლებიც მიღწეულია მძიმე ინდუსტრიის განვითარებაში, შესაძლებელი გახდა იმ უპირატესობათა შედეგად, რომლებიც აქვს ჩვენს მსხვილ სოციალისტურ სოფლის მეურნეობას კაპიტალისტურ მეურნეობასთან შედარებით.

მარცვლეულის საერთო მოსავლის გადიდების უმნიშვნელოვანესი რეზერვებია მოსავლიანობის გადიდება ყველა ფართობზე, მარცვლეული კულტურების ნათესების შემდგომი გაფართოება ყამირ და ნასვენ მიწებზე, დანაკარგის შემცირება მოსავლის აღების დროს და სიმინდის ნათესის მკვეთრი გადიდება. პავილიონებში ფართოდ არის გაშუქებული მდიდარი გამოცდილება გამოფენის მონაწილეებისა, რომლებიც უნარიანად იყენებენ ამ რეზერვებს.

მარცვლეულის საერთო მოსავლის გადიდებასა და მეცხოველეობისათვის საკვები ბაზის შექმნაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სიმინდს — მარცვლეულ კულტურებში ყველაზე მოსავლიან კულტურას.

მკაფიოდ ჩანს, თუ რა უდიდესი უპირატესობა აქვს სოფლის მეურნეობის დაგეგმვის ახალ სისტემას, რომელიც წელს დაუწესეს პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ.

ყოველმხრივ ასახულია მანქანა-ტრაქტორთა სადგურების, როგორც საკოლმეურნეო წარმოების ორგანიზაციის გადამწყვეტი ძალის, როლი, სადგურებისა, რომლებსაც ახლა დიდი პასუხისმგებლობა დაეკისრათ ყველა სახეობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების ჩატარებისთვისაც.

კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მოწინავე გამოცდილება კარტოფილის, ბოსტნეულის, შაქრის ჭარხლის, სელის, კანაფისა და მრავალი სხვა კულტურის წარმოებაში გაშუქებულია დარგობრივ პავილიონებში. მრავალ სტენდზე ნაჩვენებია მეცნიერების მუშაკთა, მიჩურინელთა მიღწევები, რომელნიც ამდიდრებენ ჩვენს ქვეყანას ახალი უხვმოსავლიანი ჯიშის მცენარეებით და პირუტყვის პროდუქტიული ჯიშებით, ახალი მანქანებით და ნიადაგის დამუშავებისა და ცხოველთა მოვლის მეთოდებით.

შარშანდელზე უფრო ფართოდ ასახულია, ამბობს შემდეგ ამხ. ციცინი, მიღწევები მეცხოველეობის დარგში. მნახველთ შეუძლიათ შეისწავლონ ცხოველთა მაღალი პროდუქტიულობის ოსტატები, ნოვატორი მეცხოველეების, ზოოტექნიკოსებისა და ვეტერინარი ექიმების მუშაობის პროგრესული ხერხები. კერძოდ, ნაჩვენებია, თუ როგორ შეიძლება ერთ წელიწადში 500 და მეტი კილოგრამით გავადიდოთ თვითეული ძროხის წველადობა.

იმ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიურ მაჩვენებლებს, რომლებმაც თავიანთი ფერმები წარმოადგინეს გამოფენაზე, ახასიათებს რძის, ხორცის, მატყლისა და კვერცხის დიდი გამოსავლიანობა 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე. გამოფენაზე ცხოველთა შორის ცოტა როდია ისეთი, რომელიც შარშანდელ ჩემპიონებსა და რეკორდისტებს სჯობს.

მნიშვნელოვანი მიღწევები მემცენარეობასა და მეცხოველეობაში უზრუნველყოფილია მექანიზაციის მაღალი დონით. საბჭოთა მრეწველობა მძლავრ ტექნიკას აწვდის სოფლის მშრომელებს. სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის პავილიონში მტს-ის ტიპურ კარმიდამოში და ღია მოედნებზე გამოფენილია 1.400-ზე მეტი ნიმუშის სხვადასხვა მანქანა, მათ შორის 260 ახალი ტიპის მანქანები.

1955 წლის გამოფენაზე მთავარი კომიტეტის საგზურებით ჩამოვა სოფლის მეურნეობის 350 ათასზე მეტი მუშაკი საბჭოთა კავშირის ყველა რაიონიდან, ოლქიდან, მხარიდან და რესპუბლიკიდან. პირველი ათი ათასი ექსკურსანტი უკვე ჩამოვიდა.

გამოფენაზე იქნება აგრეთვე უცხო ქვეყნებიდან ჩამოსული ბევრი სტუმარი.

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა, თქვა დასასრულ ამხ. ციცინმა, თვალსაჩინო მაგალითია საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი მისწრაფებისა, საბჭოთა ხალხისა, რომელიც მთელ თავის ძალებს ახმარს სამშობლოს აყვავებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლას.

მთავარი კომიტეტის დავალებით ამხ. ბენედიქტოვი 1955 წლის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენას გახსნილად აცხადებს და სთხოვს სტუმრებს შეუდგნენ პავილიონების დათვალიერებას.

გაისმის საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნი. მთავარ პავილიონზე აფრიალდა სსრ კავშირის ალამი. პავილიონებზე ფრიალებენ მოკავშირე რესპუბლიკათა ალმები. შადრევნები მაღლა ტყორცნიან მარგალიტივით კამკამა ჭავლებს.

მიტინგი დამთავრდა. მისი მონაწილენი იწყებენ გამოფენის დათვალიერებას, დადიან პავილიონიდან პავილიონში, თითქოს ჩვენს თვალუწვდენ ქვეყანაში მოგზაურობენ, ტკბებიან საბჭოთა ადამიანების შთაგონებული შრომის ნაყოფით.

აი ალტაის მხარის რუბცოვსკის რაიონის კოლმეურნეობათა წარმომადგენლები. მათ სურთ ზედმიწევნით იცოდნენ, თუ რას წარმოადგენს კოლმეურნე მეცნიერის ტერენტი სიმონის-ძე მალცევის მუშაობის მეთოდი, საკუთარი თვალით ნახონ ახალი იარაღი, რომელიც მან შემოიღო. მათ აინტერესებთ სიმინდი — როგორ შეიძლება მისი უკეთ მოყვანა ციმბირში, რა ჯიშის სიმინდი უნდა დათესონ, როგორ დაასილოსონ ტაროები და ააყრინ ამისათვის მოპირკეთებული ტრანშეები.

ყველა რესპუბლიკაში, ყველა მხარესა და ოლქში არის საკუთარი შესანიშნავი რამ — ძვირფასი გამოცდილება, რომელიც ღირსია იმისა, რომ გახდეს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რაიონის სოფლის მეურნეობის მრავალი მილიონი მშრომელის კუთვნილება. უკრაინის სსრ პავილიონში ექსკურსანტები დიდხანს ჩერდებიან, რათა შეისწავლონ სიმინდის უხვი მოსავლის მოყვანის გამოცდილება. ტაჯიკეთის სსრ პავილიონში მეგამბეები დაწვრილებით ეცნობიან ბამბის მოყვანის ახალ პროგრესულ წესს. ყაზახეთის სსრ და ციმბირის პავილიონებში ექსკურსანტების ყურადღებას იპყრობენ სტენდები, სადაც ნაჩვენებია ყამირი მიწების ათვისების მეთოდები.

ნაშუადღევის პირველ საათზე გამოფენის შესასვლელები გაუღეს მისი ნახვის ყველა მსურველს. ათასობით მოსკოველი იყო ხეივნებში, მოედნებზე და პავილიონებში. ბევრი მშრომელი ჩამოვიდა მოსკოვის ოლქის კოლმეურნეობებიდან, საბჭოთა მეურნეობებიდან და ქალაქებიდან.

გამოფენის მწვანე თეატრში, „კოლმეურნეობის კულტურის სახლში“ და ღია ესტრადაზე კონცერტები გაიმართა.

1955 წლის გამოფენის მუშაობის განახლების დღე ბრწყინვალე დღესასწაულად გადაიქცა. (საკდესი).

გამოფენის გახსნის დღეს ათეულ ათასობით სტუმარმა და მონაწილემ ინახულა საქართველოს სს რესპუბლიკის პავილიონი. სურათზე: პავილიონის დიდ დარბაზში.

ფოტო ვ. ზარიძისა.

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე ჩამოვიდნენ უცხოელი სტუმრები

მოსკოვში სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე 4 ივნისს ღამით თვითმფრინავით ჩამოვიდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის პირველი ჯგუფი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სოფლისა და სატყეო მეურნეობის მინისტრის ჰანს რაიჰელტის მეთაურობით. აეროდრომზე სტუმრებს შეხვდნენ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე მ. ნ. ლუცენკო, სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკები, აგრეთვე სსრ კავშირში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საელჩოს წევრები.

დილით 5 ივნისს ჩამოვიდა ჩეხოსლოვაკიის სოფლის მეურნეობის მუშაკთა დიდი დელეგაცია. მას მეთაურობს სოფლის მეურნეობის მინისტრი მარეკ სმიდა. კიევის ვაგზალზე დელეგაციას შეხვდნენ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ა. მ. ლევიცკი, სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკები, აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ი. ვომაგლიკი. (საკდესი).

წერილები რედაქციას

კანონიერად მოითხოვენ

მიმდინარე წლის დასაწყისიდან საქ. ავტოტრანსმა დააწესა ავტობუსის მარშრუტი თბილისი-წითელწყაროს. ავტობუსი რეგულარულად დადის ამ ახალი მიმართულებით და კარგად ემსახურება როგორც წითელწყაროს, ისე სოფელ ქვემო ბოდბის მოსახლეობას. მაგრამ ქვემო ბოდბეს 8 კილომეტრით დაშორებულ სოფელ ზემო ბოდბის მოსახლეობას ავტობუსი მომსახურებას არ უწევს.

სრული შესაძლებლობაა, რომ თბილისიდან მომავალმა ავტობუსმა შეიაროს ზემო ბოდბეში იქაური მგზავრების გადასაყვანად. საჭიროა საქავტოტრანსის ხელმძღვანელობამ ყურადღება მიაქციოს მცხოვრებთა მოთხოვნას და დააწესოს ავტობუსის მარშრუტი სოფელ ზემო ბოდბეში გავლით.

შ. კოტიაშვილი,
გ. გოჩიტაშვილი.

„კომუნისტის" სიგნალის შემდეგ

„როგორ „გამოეხმაურნენ" გაზეთის კრიტიკულ შენიშვნას"

ამ სათაურით „კომუნისტის" 6 მარტის ნომერში დაიბეჭდა წერილი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ „ბლავტექსტილტორგის" ქუთაისის კოოპერატებული სავაჭრო ბაზის ხელმძღვანელობა არ გამოეხმაურა საქალაქო გაზეთ „სტალინელის" კრიტიკას, არ მიიღო ზომები საშტატო დისციპლინის დარღვევის აღმოფხვრისათვის.

როგორც პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. გ. რუხაძე გვაცნობინებს, საქალაქო კომიტეტის ჩარევის შედეგად ბაზაში მდგომარეობა გამოსწორებულია. საშტატო დისციპლინის დარღვევისათვის ბაზის უფროსი ბუხბალტერი მ. ციციაშვილი განთავისუფლებულია სამუშაოდან, ხოლო ბაზის მმართველს შ. ბაჭაპურიძეს გამოეცხადა სასტიკი საყვედური. სამუშაოდან განთავისუფლებულია აგრეთვე საწყობის გამგე ი. ხანანაშვილი.

დავამზადოთ ასფალტი ფართო მოხმარებისათვის

ცნობილია, რომ სარეწაო კოოპერაციას დავალებული აქვს ორი მთავარი ამოცანა: მოსახლეობისათვის საჭირო ფართო მოხმარების საქონლის წარმოება მრეწველობის ნარჩენებიდან და საშენი მასალების დამზადება ადგილობრივი ნედლეულისაგან — უმთავრესად ინდივიდუალური მშენებლობისათვის.

სარეწაო კოოპერაციის სისტემაში მართლაც არის ერთი არტელი — „ახალმშენი" (გამგეობის თავმჯდომარე ა. ასათიანი), რომელიც ამზადებს და მოსახლეობას აწვდის აგურს, კრამიტს, კირს და სხვა საშენ მასალას. ეს ასორტიმენტი მთელი რიგი წლების განმავლობაში უცვლელია. მაგრამ სარეწაო კოოპერაციის ხელმძღვანელები, ეტყობა, სრულიადაც არ ფიქრობენ გამოიჩინონ ინიციატივა და გააფართოონ საშენ მასალათა ნომენკლატურა, მიუხედავად მათს განკარგულებაში არსებული დიდი შესაძლებლობებისა.

ავიღოთ თუნდაც ისეთი უბრალო მასალა, როგორიც არის ასფალტი, რომელზეც მშენებლების დიდი მოთხოვნილებაა.

არტელ „ახალმშენს" აქვს ბიტუმის ქარხანა. ეს ქარხანა ბიტუმის გარდა ამზადებს თხევად საწვავ მასალას, რისთვისაც იგი აღჭურვილია საჭირო დანადგარებით და საორთქლე მეურნეობით. ქარხნის მახლობლად კი მოიპოვება ქვიშა-ხრეშის მძლავრი კარიერი, ხოლო ასფალტის დამზადებას, როგორც ცნობილია, სჭირდება ქვიშა-ხრეში და სხვა ნედლეული, რაც ამ ქარხანაში ჭარბად აქვთ. მხოლოდ ინიციატივისა და ორგანიზატორული უნარის გამოჩენა არის საჭირო იმისათვის, რომ ლილოს ბიტუმის ქარხანასთან ასფალტის წარმოება მოეწყოს და ეს ძვირფასი მასალა უხვად მისცენ მომხმარებლებს, მათ შორის ინდივიდუალურ ბინათმშენებლებს.

ქალაქის სხვადასხვა უბნებში მშრომელები იშენებენ ლამაზ, მოხერხებულ საცხოვრებელ სახლებს, მაგრამ ამასთან ზოგი ახალი სახლის ეზო ცუდ ამინდში თითქმის გაუვალი ხდება.

ვფიქრობთ, სარეწაო კოოპერაციის ხელმძღვანელებმა აქედან უნდა გააკეთონ დასკვნა, შეუდგნენ ფართო მოხმარების საჭიროებისათვის ასფალტის დამზადებას ადგილობრივი ნედლეულისაგან.

ფ. სულაძე,
ინჟინერ-მშენებელი, სსრკ სამრეწველო ბანკის რესპუბლიკური ბანკის მმართველის მოადგილე.

საჭიროა ბიბლიოთეკა, წიგნების მაღაზია, საგაზეთო კიოსკი...

დღითიდღე იზრდება და კეთილმოწყობილი ხდება ქვანახშირის ქალაქი — ტყიბული ცენტრი. მაგრამ ჯერ კიდევ მოუგვარებელია ადგილობრივ მცხოვრებთა კულტურული მომსახურების საქმე. ქალაქის ცენტრში არ არის არცერთი ბიბლიოთეკა, წიგნის მაღაზია და საგაზეთო კიოსკი.

ამ ნაკლის გამოსწორება ადვილად შეუძლიათ რაიონის პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს, ასევე ტყიბულქვანახშირისა და ტყიბულშახტმშენის ტრესტების ხელმძღვანელებს, მაგრამ ამას რატომღაც არ აკეთებენ.

ძ. გაბადაძე.

ფეხბურთის ბილეთების „მოძრავი სალაროები"...

ამ რამდენიმე დღის წინათ ფეხბურთის მაყურებლები ზღვის ტალღებივით მიედინებოდნენ სტადიონისაკენ... მართლაც, რა სჯობს მწვანე მოლზე ოსტატ ფეხბურთელთა შეჯვედრის ცქერას. ვინ ასწერს, რამდენ სიხარულს, რამდენ ამაღელვებელ წუთს განიცდის მაყურებელი!

მაგრამ იმ დღეს, როგორც წინა მატჩების დროსაც, მოხდა ისე, რომ ფეხბურთის ბევრი მოყვარული ჯერ კიდევ სტადიონზე შესვლამდის ღელავდა...

აი სტადიონის შორეულ მისასვლელთან დგას მოქალაქე და ოფლს მალამალ იწმენდს. ეტყობა, ვიღაცას ელოდება, ნერვიულობს. მას მოურიდებლად მიუახლოვდა თეიმურაზ ვლადიმერის-ძე გოგაშვილი და დიდიხნის ნაცნობივით გაულიმა:

— გეტყობათ ფეხბურთის დიდი გულშემატკივარი ხართ!

— მართლაც რომ ასეა, მაგრამ რა გაეწყობა, ამხანაგმა, რომელსაც ჩემი ბილეთი ჰქონდა, რატომღაც დაიგვიანა...

— ჰო, მიგიხვდი, ძმობილო, ბილეთი გნებავთ! რომელი გინდათ: სამხრეთის თუ ჩრდილოეთის, დასავლეთის თუ აღმოსავლეთის ტრიბუნა? იქნებ მეორე ან მესამე იარუსის

ბილეთის ინებებთ? — და თეიმურაზმა უბიდან ფეხბურთის ასამდე ბილეთი ამოიღო. თითო ბილეთი ხუთჯერ მეტ ფასად გაჰყიდა. როცა მეორე მოქალაქეს თეიმურაზმა ერთ ბილეთში შეიდმაგი ფასი გადაახდევინა, პირდაპირ გაადგონეს:

— ასე აშკარად სპეკულანტობა იქნება? ფეხბურთის ბილეთების მოძრავი სალაროა, ეტყობა!..

მაგრამ თაღლითობისათვის წრნაო ნასამართლევმა თ. გოგიაშვილმა აინუნშიც არ ჩაიგდო მოქალაქის ეს სიტყვები. ის ხომ მარტო არ არის! ფეხბურთის ბილეთების სპეკულანტები გ. მარგიევი, ვ. ცხვარაშვილი, ს. გრიქუროვი და სხვები მოურიდებლად დაძრწოდნენ ხალხში და სპეკულაციურ ფასებში ასაღებდნენ ფეხბურთის ბილეთებს.

მილიციისა და პროკურატურის ორგანოებმა მთელი სიმტკიცით უნდა აგრძნობინონ შემოსავლის იოლი წყაროს მოყვარულთ, რომ ეს ფანდი მათ არ შერჩებათ.

აუცილებელია გამოარკვიონ, თუ ვისი დახმარებით ჩაიგდეს ხელში სპეკულანტებმა ფეხბურთის ასობით ბილეთი და მათაც სათანადო პასუხი აგებინონ.

ა. სხვაველი.

ესტრადის ოსტატი

ამ დღეებში თბილისის საზოგადოებრიობამ რუსთაველის სახელობის თეატრში აღნიშნა ნიჭიერი ქართველი მსახიობის ოლღა დოლიძის შემოქმედებითი მოღვაწეობის 25 წლისთავი. ო. დოლიძემ სასცენო მოღვაწეობა დაიწყო სცენისმოყვარეთა დრამატული წრეების სპექტაკლებში. პირველი მისი როლი რუსთაველის სახელობის თეატრში იყო ბიჭუნა პიესაში „ვინ არის დამნაშავე". მან მრავალი საინტერესო სახე შექმნა როგორც რუსთაველის სახელობის, ისე მარჯანიშვილის სახელობის თეატრების სპექტაკლებში. ამ როლებიდან აღსანიშნავია ქრისტინეს დედა მარიკა „ნინოშვილის გურიაში", თამარი („უკანასკნელი რაინდი"), პარასკევა („ნაპერწკლიდან"), კაროლინა („შემოდგომის ანზაურები"), ფოფოდია („გუშინდელნი"), ძიძა („გმირთა თაობა") და სხვ.

1931 წლიდან ო. დოლიძე თეატრში მუშაობასთან ერთად გამოდის როგორც ესტრადის მსახიობი. 1939 წელს მოსკოვში ესტრადის მსახიობთა საკავშირო კონკურსზე მას მიენიჭა ამ კონკურსის ლაურეატის, ხოლო 1943 წელს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის წოდება.

როგორც ესტრადის ნიჭიერი მსახიობი ო. დოლიძე ცნობილია არა მარტო ჩვენი რესპუბლიკის უველა კუთხეში. იგი ასევეთვე წარმატებით გამოდიოდა საგასტროლო კონცერტებით ნოვოსიბირსკში, ომსკში, ტომსკში და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებში.

სასცენო მოღვაწეობის 25 წლისთავისადმი მიძღვნილი შემოქმედებითი საღამოსათვის ო. დოლიძემ მოამზადა ახალი პროგრამა სათაურით „ახალი მისამართი" (ტექსტის ავტორია ს. ფაშალიშვილი), რომელშიც დიდი სიძლიერითა და დამაჯერებლობით, ცოცხალი იუმორით წარმოადგინა როგორც ქალების, ისე მამაკაცების სახასიათო სახეები.

ამ ახალი პროგრამით კონცერტები გაიმართა ფილარმონიის საზაფხულო თეატრში, ძერჟინსკისა და პლეხანოვის სახელობის კლუბებში, თბილისის ოფიცერთა სახლში, ხოლო გუშინ თბილისის სომხური დრამის თეატრში.

უახლოეს ხანში ო. დოლიძის შემოქმედებითი საღამოები გაიმართება ქუთაისში, ბათუმში, სოხუმსა და მახარაძეში.

გ. ძნელაძე.

* * *

სურათებზე: ო. დოლიძე უკრაინელი ქალისა და მოხუცი ხელოსნის როლებში საესტრადო სანახაობიდან „ახალი მისამართი".

ახალი წიგნები

საბლიტგამმა გამოსცა შემდეგი წიგნები:

გ. აბაშიძე — **საბავშვო პოემები.** თბილისი, 1955 წელი. ტირაჟი 7.000, გვ. 97, ფასი 3 მან. 64 კაპ.

ლ. კასილი, მ. პოლიანოვსკი — **უმცროსი ვაჟის ჭუჭა.** თარგმანი მ. ტყიმალაძისა. თბილისი, 1955 წელი. ტირაჟი 5.000, გვ. 573, ფასი 12 მან. 25 კაპ.

დ. ლორთქიფანიძე — **დიდი ქართველი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი.** თბილისი, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის გამომცემლობა. 1955 წელი. ტირაჟი 3.000, გვ. 75, ფასი 2 მან. 50 კაპ.

ა. იგლიცკი და ბ. სოვოროვი — **როგორ ბეჭდავენ წიგნებს.** ტექნიკა და შრომა, თბილისი, 1955 წელი. ტირაჟი 2.000, გვ. 69, ფასი 1 მან. 10 კაპ.

მეჯი უურადღება ბორჯომი კურორტების კეთილმოწყობას

ბორჯომის ჯგუფის კურორტების მომხიბლავი ბუნება, შესანიშნავი ჰავა, სამკურნალო მინერალური წყლები ბევრ დამსვენებელს იზიდავს.

შარშან ბორჯომის სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში 20.994 კაცი ისვენებდა და მკურნალობდა. ამას გარდა მოწყობილი იყო პიონერთა 70 ბანაკი. წელს გაცილებით მეტ დამსვენებლებს მოელიან.

ახალი საკურორტო სეზონისათვის მზადება წელს შედარებით ადრე დაიწყო ბორჯომის საკურორტო სამმართველომ. კურორტის პოლიკლინიკაში დაიდგა ახალი რენტგენოპარატი, მოეწყო ლაბორატორია და აფთიაქი, რეკონსტრუირებულია ფიზიო-სამკურნალოს საქვაბე მეურნეობა, განხორციელდა ოქტომბრის რევოლუციის სახელობის პარკის კეთილმოწყობისა და გამწვანების სამუშაოები, მთავრდება ჯორჯაძის ქუჩის რეკონსტრუქცია და სხვ.

მაგრამ არის ნაკლოვანებებიც.

ბორჯომის რაიონში თავისი სამკურნალო თვისებებით დიდი ხანია ცნობილია ციხისჯვრის გოგირდოვანი აბანო. მისი აბაზანების მიღების შემდეგ ბევრი ავადმყოფი სრულიად გაჯანსაღდა. გასული წლის ბოლოს აბანოს შენობა ჩაინგრა, მისი აღდგენისათვის კი არაფერი გაკეთებულა.

მეტ ყურადღებას მოითხოვს ბორჯომის უზრუნველყოფა ელექტროენერგიით და წყლით. ელექტროსადგური ხშირად შეფერხებით მუშაობს. ამ ნაკლის თავიდან ასაცილებლად საკურორტო სამმართველომ 1953 წელს ააგო ექვსი სატრანსფორმატორო კიოსკი, აქედან ხუთი უკვე დამონტაჟებულია. კიოსკების დამთავრება და ძაბვის ძირითად ხაზში ჩართვა დღემდე ჭიანურდება. ბორჯომის საკურორტო სამმართველოს სარემონტო კანტორა ნელი ტემპით აწარმოებს ქალაქის წყალსადენის მშენებლობას. ამ მიზნით გამოყოფილია თანხები, მაგრამ საკმაო რაოდენობით არა აქვთ ცემენტი, მცირე ზომის მილები, ფასონური ნაწილები და სხვ. გოგიასციხის წყალსადენი ორი წელია დაზიანებულია, მის შესაკეთებლად კი არავინ ზრუნავს.

მოსახლეობა და დამსვენებლები უკმაყოფილებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ ბორჯომში მდინარე მტკვარზე არსებულ საავტომობილო ხიდს არა აქვს ფეხით სასიარულო ნაწილი. ამ ნაკლის გამოსწორება ადვილად შეიძლებოდა, ადგილზე ბევრია ხე-ტყის მასალა, მაგრამ საქალაქო საბჭოს აღმასკომის მუშაკები რატომღაც დაინტერესებას არ იჩენენ.

საქალაქო საბჭოს აღმასკომი და მისი დასუფთავების ტრესტი ცუდად ზრუნავენ ქალაქში სისუფთავის დაცვისათვის. სრულიად უყურადღებოდ არის მიტოვებული ლუქსემბურგის და შმიდტის ქუჩები.

კეთილმოუწყობელია ბორჯომის, წაღვერისა და ბაკურიანის საკოლმეურნეო ბაზრები. ცოტაა სავაჭრო ფარდულები, არსებულიც დაზიანებულია და წვიმის დროს სახურავებში წყალი ჩადის.

სერიოზული ნაკლოვანებებია საზოგადოებრივი კვების ობიექტებში. ზოგიერთ სასადილოში მზადდება უხარისხო კერძები, სათანადოდ არ იცავენ სისუფთავეს, არა აქვთ წინადადებებისა და საჩივრის წიგნები.

ბორჯომის ჯგუფის კურორტებს შორის თვალსაჩინო ადგილი უჭირავს კურორტ წაღვერს. აქ დიდი ხნის წინათ არსებობდა აბანო, რომელიც საკურორტო სამმართველოს ეკუთვნოდა. კარგა ხანია აბანო წაღვერის სადაბო საბჭოს გადაეცა. სადაბო საბჭომ იგი კოლმეურნეობას გადასცა. ხუთი წელია აბანოს შენობა ჩანგრეულია, ქვაბი და შიდა მოწყობილობა უპატრონოდ არის მიტოვებული.

რამდენიმე ხნის წინათ პარტიის ბორჯომის რაიკომის ბიურომ განიხილა ახალი საკურორტო სეზონისათვის მზადების საკითხი და დასახა სათანადო ღონისძიებანი, მაგრამ ამ ღონისძიებებიდან ზოგიერთი რამ დღესაც არ არის შესრულებული.

ბორჯომის კურორტებზე მრავალი მშრომელი ჩამოდის. საჭიროა შევქმნათ ყოველგვარი პირობები მათი ნორმალური დასვენებისა და გაჯანსაღებისათვის.

დ. ჭიჭილეიშვილი,
ბორჯომის რაიონული გაზეთის „კომუნიზმის დროშით" რედაქტორი.

ვ. გურგენიძე,
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

გავუთანასწორდეთ მოწინავეებს ნათესების დამუშავებაში

უხვი მოსავლისათვის გაჩაღებულ ბრძოლაში შალაურელებმა პირობა დადეს წელს თვითეულ ჰექტარზე მიიღონ 50 ცენტნერი სიმინდი. ამ ვალდებულების გასანადდებლად დიდი მონდომებით მუშაობენ. გეგმით გათვალისწინებული 160 ჰექტარის ნაცვლად 180 ჰექტარი სიმინდი დათესეს. აქედან 125 ჰექტარი დათესილია კვადრატულ-ბუდობრივად. სიმინდმა კარგად გაიხარა. ალაზნის ველზე მწვანე კვადრატები გამოჩნდა. როგორც კი სიმინდმა მესამე ფოთოლი გამოიღო, თელავის მტს-ის ტრაქტორისტებმა ვ. ფეიერშვილმა, ე. გიგოლაშვილმა, ვ. ბაზეარაშვილმა და შ. ქურციკაშვილმა ჯვარედინად კულტივაცია დაიწყეს.

შალაურელები არც სიმინდის თოხნას აგვიანებენ. მოხუცი თუ ახალგაზრდა, ქალი თუ კაცი დილიდან დაღამებამდე სიმინდის მწვანე კვადრატებში ტრიალებს. კოლმეურნეებს კულტივაციამ შრომა გაუადვილა. თუ წინათ ერთი ჰექტარის გათოხნას ერთ დღეს 16 კაცი ვერ ასწრებდა, ახლა 5-6 კაციც საკმარისია. თოხნის დღიური დავალებას თითქმის ყველა ორმაგად ასრულებს.

ფ. გოცირიძის ბრიგადას 40 ჰექტარი სიმინდიდან უკვე გათოხნილი აქვს 30 ჰექტარზე მეტი. ა. ჭყოიძე 75 წლისაა, მაგრამ მუშაობაში ახალგაზრდებს არ ჩამოუვარდება. მან ერთი ჰექტარი სიმინდი გათოხნა. თოხნის დავალება ყველაზე ადრე შეასრულეს აგრეთვე თ. და თ. გრემელაშვილებმა, ე. მანოშვილმა, მ. კობახიძემ.

ზ. მურველაშვილის ბრიგადამ შარშან საშუალოდ ჰექტარზე 50 ცენტნერი სიმინდი მიიღო (მარცვლად) ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 20 ცენტნერისა. ბრიგადა წელს საშუალოდ 60 ცენტნერის მიღებას ვარაუდობს. სიმინდის დამუშავებაში წარმატება მოიპოვეს ი. ოდიშვილმა, თ. მურველაშვილმა და სხვებმა.

შალაურელები სიმინდის მეორე თოხნას შეუდგნენ. 15 ივნისიდან კი სადაც საჭირო იქნება, მესამედ გათოხნიან.

კონდოლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობას 195 ჰექტარი სიმინდი უთესია. კვადრატულ-ბუდობრივად დათესილმა სიმინდმა საუკეთესოდ გაიხარა. თელავის მტს-ის მექანიზატორებმა ვ. რუსაშვილმა და ს. ავაზაშვილმა ას ჰექტარზე ორმხრივი კულტივაცია ჩაატარეს.

სიმინდის კულტივაცია და თოხნა სწრაფად მიმდინარეობს ყაჯეთის, რუისპირის, სანიორის, კურდღელაურის, ვარდისუბნის კოლმეურნეობებში. მაგრამ სიმინდის ნათესებს რაიონის უველა კოლმეურნეობაში როდი უვლიან კარგად. ზოგან კელავ ძველებურად მუშაობენ.

აკურის კოლმეურნეობა „მოწინავემ" სიმინდი კვადრატულ-ბუდობრივი წესით მხოლოდ 30 ჰექტარზე დათესა. დანარჩენი 130 ჰექტარი დათესილია მწკრივად. აქ კულტივაცია და თოხნა ჭიანურდება.

ქვემო ხოდაშნის კოლმეურნეობას 115 ჰექტარი სიმინდიდან 30 ჰექტარზე მეტი არ გაუთოხნია. 23 მაისს სიმ-ნდის თოხნაზე მხოლოდ 30 კოლმეურნე მუშაობდა. ბრიგადირმა ს. ბურნაძემ ამ დღეს არც ერთი კოლმეურნე არ გაიყვანა სიმინდის გასათოხნად. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ი. ლეღლემიძე საქმეს თავს ვერ ართმევს. ამის შედეგია, რომ ასზე მეტი კოლმეურნე შრომაში არ მონაწილეობს, მათ შორის ოცზე მეტი ახალგაზრდაა.

ვანთის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ნაკვეთებში სიმინდის სიმაღლემ 15 სანტიმეტრს მიაღწია, მაგრამ ლ. შიუკაშვილის სატრაქტორო ბრიგადა კულტივაციას აჭიანურებს.

სიმინდის კულტივაცია და თოხნა ნელი ტემპით მიმდინარეობს ბეშეტისა და გულგულის კოლმეურნეობებშიც.

თელავის მტს-ის ხელმძღვანელობამ, კოლმეურნეობათა გამგეობებმა და პარტიულმა ორგანიზაციებმა სიმინდის თოხნის დასაჩქარებლად ქმედითი ღონისძიებანი უნდა განახორციელონ.

ს. ძოწილაძე.
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

ნორჩ ფიზიკოსთა საღგური

ბიათურა. (საკ. კორ.). მეორე ათეული წელია მარგანეცის ქალაქში არსებობს ნორჩ ტექნიკოსთა სადგური, რომელიც მნიშვნელოვან კერას წარმოადგენს მოსწავლე ახალგაზრდობის პოლიტექნიკურ აღზრდაში. აქ ბევრმა ახალგაზრდამ გამოავლინა თავისი ნიჭი. მრავალი მათგანი ახლა ინჟინერი, მხატვარი, არქიტექტორი, ტექნიკოსია.

სადგურში შექმნილია ფერწერის, მაკეტისტთა, მოდელისტთა, ფიზიკოსთა, ფოტომოყვარულთა და სხვა წრეები. მოწყობილია ახალგაზრდა შემოქმედთა ნამუშევრების გამოფენა, სადაც ბევრი რამ მაღალი ხელოვნებით და დიდი მხატვრული გემოვნებით არის შესრულებული. ყურადღებას იპყრობს მესამე საშუალო სკოლის მეათეკლასელი მოსწავლეების ო. სარალიძისა და ბ. კვეტენაძის მაკეტები: „ი. ბ. სტალინის სახლი გორში", „ი. ბ. სტალინის სახლ-მუზეუმი ჭიათურაში", „ბეროქსიდების გამაუხვეველი ფაბრიკა". ასევე საინტერესოა მეორე საშუალო სკოლის მეცხრეკლასელის რ. ფხალაძის მიერ დამზადებული ამავე სკოლის მაკეტი, დ. ჯაფარიძის მიერ შესრულებული ა. წერეთლის სახლ-მუზეუმის მაკეტი.

ნორჩ ფიზიკოსებს ზ. ცომაიას, დ. ბრეგვაძეს, დ. გეწაძეს, დ. ჩიჩუას, ი. ჯორკიტაძეს და სხვებს ნიჭიერად დაუმზადებიათ მოძრავი გემი, ბორზეს ტელეგრაფი, აგრეთვე ფიზიკის ლაბორატორიის სხვადასხვა ხელსაწყო და აპარატურა. ფანერიდან გამოჭრილი საუცხოო ნაკეთობებიდან გამოირჩევა ნანული ნიკოლაძის ნამუშევარი.

ფერწერის განყოფილებაში მიმზიდველია ზ. ცერცვაძის, რ. ფხალაძის, ნ. ერგემლიძის, ს. ჯიფარიძის, რ. ფერაძის, ო. მოდებაძის ნახატები.

ახალგაზრდა მხატვრის ო. ცერცვაძის ნამუშევრები მოსკოვში გამოფენაზე გაიგზავნა. ამ დღეებში ჭიათურაში მოვიდა მხატვარ ვალენტინა ბრაიკოვსკაიას წერილი, სადაც გვითხულობთ:

„მოსკოველები აღფრთოვანებული არიან ჭიათურელი ახალგაზრდა მხატვრის ოთარ ცერცვაძის ახალი სურათებით, რომლებიც წარმოდგენილია ბავშვთა საკავშირო სახვითი ხელოვნების გამოფენაზე. მისი სამი სურათი, შესრულებული ზეთით, ბნელელთა ძალან შეფასებას იმსახურებს. ოთარ ცერცვაძემ გამოფენაზე გასულ წელთან შედარებით წარმოგვიდგინა უფრო სრულყოფილი ნამუშევარი, რაც ახალგაზრდა მხატვრის შემოქმედებითს ზრდაზე მეტყველებს. ო. ცერცვაძის სურათი „მაღარო" დაბეჭდილია გამოფენის კატალოგის პირველ გვერდზე".

პროფკავშირულ თემაზე

ერთი საწარმოს საქარხნო კომიტეტი

სტალინის სახელობის ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხანა აჭარაში ერთ-ერთი მოწინავე საწარმოა.

საწარმოო გამარჯვებათა მოპოვებაში სერიოზული წვლილი შეაქვს ქარხნის პროფკავშირულ ორგანიზაციას. საქარხნო კომიტეტი (თავმჯდომარე გ. დარჩია) სათავეში უდგას სოციალისტურ შეჯიბრებას, რაზმავს მუშებს სახელმწიფო გეგმის ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შეასრულებისათვის.

საქარხნო კომიტეტი კოლექტიური ხელმძღვანელობის ორგანოა. იგი 15 წევრისაგან შედგება, პროფკავშირის აქტივზე დაყრდნობით უნარიანად ართმევს თავს დაკისრებულ მოვალეობას, დროულად ავლენებს და მხარს უჭერს ყოველივეს ახალს, პროგრესულს.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საქარხნო კომიტეტის სხდომების მომზადებასა და ჩატარებას. სხდომებზე აჯამებენ ძირითად და დამხმარე საამქროთა, აგრეთვე ძირითადი პროფესიის მუშათა შორის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების შედეგებს. მაგალითად, ამას წინათ საქარხნო კომიტეტმა შეისწავლა და განიხილა მეოთხე საამქროში სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობის საკითხი. გამორკვა, რომ მუშათა ნაწილი ჩაბმული არ იყო სოციალისტურ შეჯიბრებაში. ზოგიერთ მუშას აღებული ჰქონდა ზოგადი, არაკონკრეტული ვალდებულება. იშვიათად ეწყობოდა საწარმოო თათბირები და საამქროს კომიტეტის სხდომები. საქარხნო კომიტეტმა ქმედითი ღონისძიებები განახორციელა საამქროში პროფკავშირული მუშაობის გასაუმჯობესებლად.

საქარხნო კომიტეტი კონკრეტულად, საქმის ცოდნით ხელმძღვანელობს კომისიების მუშაობას, სისტემატურად ამოწმებს მათს საქმიანობას. მაგალითად, განხილულია ისეთი საკითხები, როგორიც არის მუშებისა და მათი ოჯახის წევრების კულტურული, საყოფაცხოვრებო და სამედიცინო მომსახურება, მუშათა სასადილოს და ბუფეტების მუშაობა, მუშათა საცხოვრებელი დაბის კეთილმოწყობა, საცხოვრებელი სახლების კაპიტალური რემონტის მიმდინარეობა და სხვ.

ნაყოფიერ მუშაობას ეწევა საზოგადოებრივი კონტროლის კომისია (თავმჯდომარე ვ. სულაკაძე). კომისიის ინიციატივითა და მოთხოვნით მუშათა საცხოვრებელ უბანში გაიხსნა ხორცის, ბოსტნეულის სავაჭრო მაღაზიები. კომისია ეხმარება და ამოწმებს მუშათა სასადილოების მუშაობას.

სერიოზული მოვალეობა აკისრია შრომის დაცვისა და უსაშიშრობის ტექნიკის კომისიას, რომელშიც აქტიურად მონაწილეობენ წარმოების მოწინავე ადამიანები — ზეინკალი ა. კალაშნიკოვი, მუშა ა. ელეზნიკი, ხარატი მ. ნოვოეენინი და სხვ. ეს კომისია საქმიან ღონისძიებებს ახორციელებს საწარმოში შრომის დაცვისა და უსაშიშრობის ტექნიკის განმტკიცებისათვის.

საქარხნო კომიტეტის მსგავსად საამქროთა პროფკავშირულ ორგანიზაციებთანაც შექმნილია ანალოგიური კომისიები, რომელთა შემადგენლობაში გაერთიანებულია 120 კაცი.

წარმატებით მუშაობს კულტურულ-მასობრივი კომისია (თავმჯდომარე ნ. ბელი). ამას წინათ კომისიამ აქტივთან ერთად გულდასმით შეისწავლა კულტურის სახლის საქმიანობა. გამოირკვა, რომ სუსტად მუშაობდნენ თვითმოქმედი წრეები, იშვიათად და დაბალ დონეზე ეწყობოდა საღამო-კონცერტები და სხვ. კომისიამ კულტურის სახლის მუშაობის გაუმჯობესების მიზნით დასახა სათანადო ღონისძიებანი, რომელთა განხორციელების შედეგად მდგომარეობა თანდათან სწორდება.

ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის საქარხნო კომიტეტი საქმით უპასუხებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრისა და შემდგომი პლენუმების დადგენილებებს. იგი შეფობას უწევს ბათუმის რაიონის სოფელ განთიადის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობას. 16 კოლმეურნის ოჯახში გაიყვანეს ელექტროდენი. ქარხნის ელექტროენერგიით განათებულია საკოლმეურნეო კანტორა, კლუბი, მეცხოველეობის ფერმა, საწყობები და სხვა სამეურნეო დანიშნულების ნაგებობანი. სისტემატურად აწყობენ საღამო-კონცერტები, ლექციებს, მოხსენებებს, საუბრებს, უჩვენებენ საინტერესო კინოფილმებს.

საქარხნო კომიტეტი ყოველდღიურად ზრუნავს მუშა-მოსამსახურეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. ამას წინათ ბათუმელმა მენავთობეებმა ძვირფასი საჩუქარი მიიღეს — საექსპლოატაციოდ გადაეცა მუშათა საცხოვრებელი უბნის მშვენება — მენავთობეთა კულტურის სახლი. მენავთობეთა განკარგულებაშია აგრეთვე ორსართულიანი სასკოლო შენობა, საბავშვო ბაღი, საბავშვო ბაგა, კინოპავილიონი, საავადმყოფო, აბანო და სხვ. დამთავრდა ახალი ორსართულიანი საავადმყოფოს მშენებლობა, შენდება მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი.

პარტიბიურო და საქარხნო კომიტეტი ყოველდღიურ ხელმძღვანელობასა და დახმარებას უწევენ საამქროთა პროფკავშირულ ორგანიზაციებს. ამის შედეგია ის, რომ მათი უმრავლესობა ნაყოფიერად მუშაობს. აღსანიშნავია მეორე საამქროს პროფკავშირული ორგანიზაციის (თავმჯდომარე მ. კრასნოლობოვი) საქმიანობა.

პროფორგანიზაციის ინიციატივით საამქროში ფართოდ გაჩაღდა მოძრაობა რამდენიმე პროფესიის დაუფლებისათვის. ამჟამად ოპერატორის თანაშემწეები წარმატებით ეუფლებიან ზეინკლობასა და სხვა პროფესიებს. მაგალითად, პირველი საამქროს ოპერატორმა ნავთობგადამუშავების ოსტატმა ს. ჩანტლაძემ აითვისა ორ სხვადასხვა ტიპის დანადგარზე მუშაობა.

საქარხნო კომიტეტი სათავეში უდგას შრომის მოწინავე მეთოდების გავრცელებისა და გავრცელების საქმეს. მაგალითად, საწარმოო-მასობრივმა კომისიამ შეისწავლა ქარხნის სახელმოხვეჭილი ოპერატორის ხ. კორძაიას, ელექტროშემდუღებლის ა. იაკოვლევის, ზეინკალ ი. რუსიძის, ოსტატ მ. ბაროიანის და სხვათა მუშაობის გამოცდილება, რაც ამჟამად ფართოდ ინერგება წარმოებაში. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მუშების ტექნიკურ სწავლებას. გასულ წელს კვალიფიკაცია აიმაღლა 159, მეორე პროფესია აითვისა 30 კაცმა.

ქარხნის კოლექტივი ეჯიბრება სტალინის სახელობის ბაქოს ნავთობგადამმუშავებელ ქარხანას. ამ დღეებში ქარხნის პროფკავშირული აქტივის კრებამ განიხილა ბაქოელთა გამოწვევა, აღფრთოვანებით მიიღო ის და თავის მხრივ ახალი გადიდებული ვალდებულებები იკისრა.

ქარხნის მრავალრიცხოვანმა კოლექტივმა ერთსულოვნად დაუჭირა მხარი ბაქოელთა პატრიოტულ თაოსნობას, საქმით გამოეხმაურა მათ გამოწვევას და ვალდებულება იკისრა ხუთწლიანი გეგმა ვადაზე 2,5 თვით ადრე—1955 წლის 15 ოქტომბრისათვის გაანაღდოს.

მიუხედავად მიღწევებისა, ქარხნის პროფკავშირული ორგანიზაციის მუშაობაში ნაკლოვანებებიც არის. ამას ის ფაქტიც მოწმობს, რომ ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ არის შრომის და საწარმოო დისციპლინის დარღვევის, სამუშაოს გაცდენის, დაგვიანებისა და სამუშაოდან უნებართვოდ წასვლის შემთხვევები. ცუდად მუშაობს რაციონალიზაციისა და მუშათა გამომგონებლობის კომისია (თავმჯდომარე ლ. გოლოვენკო).

ქარხნის პარტიბიურომ და საქარხნო კომიტეტმა უნდა გააძლიერონ ხელმძღვანელობა და დახმარება საქარხნო და საამქროთა პროფორგანიზაციებისადმი, იზრუნონ მუშაობის მოწინავე გამოცდილების განზოგადებისა და წარმოებაში ფართოდ დანერგვისათვის, დარაზმონ მასები ხუთწლედის დავალებათა ვადაზე ადრე შესრულებისათვის.

**

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სამდივნოს კომუნიკე

ვენა, 6 ივნისი. (საკდესი). მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სამდივნომ გამოაქვეყნა კომუნიკე, რომელშიც აღნიშნულია, რომ 1 ივნისის ცნობებით, მშვიდობის მსოფლიო ასამბლეაში ჰელსინკში მონაწილეობას მიიღებს 2 ათასამდე კაცი 75 ქვეყნიდან.

ასამბლეის მუშაობაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა ბეჭრმა საერთაშორისო ორგანიზაციამ.

ასამბლეაში მონაწილეობით დაინტერესებულმა ზოგიერთმა მოღვაწემ, ნათქვამია კომუნიკეში, განაცხადა, რომ, მათი აზრით, ასამბლეა მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღწევს წარმატებას, თუ იქ მოხდება თავისუფალი აზრთა გაცვლა და თუ გაიმართება პრინციპული დისკუსია. ამის შესაბამისად მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს შეიმუშავა შემდეგი წინადადებანი:

1) მუშაობის წესის საბოლოო დადგენა შეუძლია მხოლოდ ასამბლეის ყველა მონაწილეს;

2) დისკუსიის ძირითადი თემები იქნება აქტუალური საკითხები, როგორიც არის განიარაღება და ატომური იარაღი, სამხედრო ბლოკები, ერთა უშიშროება და თანამშრომლობა, დამოუკიდებლობა და მშვიდობის შენარჩუნება;

3) ასამბლეის მუშაობა მოიწყობა იმ ვარაუდით, რომ შესაძლებელი იყოს სპეციალური საკითხების საფუძვლიანი განხილვა. ამასთან დაკავშირებით არის წინადადება, რომ ასამბლეის მუშაობა მიმდინარეობდეს როგორც პლენარული სხდომების ფორმით, ისე ჯგუფური შეხვედრის ფორმით; პლენარულ სხდომებზე შეიძლებოდეს სიტყვების წარმოთქმა და რეფერატების წაკითხვა დღის წესრიგში გათვალისწინებულ საკითხებზე; ჯგუფებსა და ქვეჯგუფებში დეტალურად უნდა განიხილონ სხვადასხვა პრობლემა.

ასამბლეა მიზნად არ ისახავს ზოგიერთი რეზოლუციის მიღებას ხმის უმრავლესობით, ოღონ იმას ესწრაფვის, რომ გამოინახოს ნიადაგი, რათა სხვადასხვა აზრისა და ინტერესთა წარმომადგენლები შეთანხმდნენ სხვადასხვა საერთაშორისო პრობლემაზე.

წინასწარი მოლაპარაკება და ასამბლეის მონაწილეთა წარმომადგენლობითი ხასიათი ნებას გვაძლევს ვამტკიცოთ, რომ შექმნილია მისი წარმატებითი მუშაობის საფუძველი.

მშვიდობის მსოფლიო ასამბლეა, ხაზგასმით არის აღნიშნული კომუნიკეს დასასრულს, ხელს შეუწყობს საერთაშორისო პრობლემების მშვიდობიან გადაჭრას, რომლებმაც დაძაბულობა გამოიწვია, და დიდმნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ერთა შორის თანამშრომლობის დამყარების საქმეში, თანამშრომლობისა, რომლისთვისაც იბრძვის ყველა ხალხი.

ДИДИ БРИТАНЕТИС КОМУНИСТУРИ ПАРТИИС АЦМАСРУЛЕБЕЛИ КОМИТЕТИС СХДОМА

ლონდონი, 6 ივნისი. (საკდესი). 4 და 5 ივნისს გაიმართა დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის აღმასრულებელი კომიტეტის სპეციალური სხდომა.

გამოვიდა რა სხდომაზე, პარტიის გენერალურმა მდივანმა ჰარი პოლიტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ პროგრესულმა მოძრაობამ ინგლისში უნდა მოითხოვოს მთავრობის მონაწილეობა ოთხი სახელმწიფოს მოლაპარაკებაში საერთაშორისო დაძაბულობის შენელების მიზნით. ამასთან მან აღნიშნა, რომ ამჟამად, როცა ინგლისში პარლამენტის არჩევნები დამთავრდა, შეერთებული შტატები და ინგლისელი კონსერვატორები სულ უფრო ნაკლებად იჩენენ სურვილს ნამდვილად აწარმოონ მოლაპარაკება. „მათ სურთ რაც შეიძლება მეტად დააყოვნონ ამ მოლაპარაკების დაწყება. მათ სურთ ხელი შეუშალონ წარმატების მიღწევას ამ მოლაპარაკებაში. ისინი ქმნიან ყოველგვარ პრობლემას და იქამდეც კი მიდიან, რომ მოითხოვენ მემამულური წყობილებისა და კაპიტალიზმის აღდგენას აღმოსავლეთ ევროპაში, ცდილობენ რა ჩაფუშონ მოლაპარაკება“. რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, იგი ეთანგრიულად იბრძვის მშვიდობისათვის, მუდამ იჩენს ინიციატივას, რომლის მიზანია საერთაშორისო დაძაბულობის შენელება. უკანასკნელი რამდენიმე დღის განმავლობაში მიმდინარეობდა მოლაპარაკება საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის ხელმძღვანელებს შორის. ამ მოლაპარაკების შედეგებს უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს. მოლაპარაკებას მოჰყვა ისეთი დადებითი შედეგები, რომლებიც დიდად აღმატება ყოველივე იმას, რაც საერთაშორისო ასპარეზზე მოხდა ამ დიდი ხნის მანძილზე.

შეეხო რა ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ნერუს მომავალ ვიზიტს საბჭოთა კავშირში, პოლიტმა თქვა, რომ საერთაშორისო მდგომარეობა ახალ შესაძლებლობებს იძლევა, რათა განვითარდეს ბრძოლა მშვიდობისათვის. ამავე დროს, თქვა მან, უგუნურება იქნებოდა მშვიდობისადმი საფრთხის შეუფასებლობა და შექმნილ მდგომარეობაში საჭიროა, რომ მუშათა კლასმა და მშვიდობის ძალებმა ინგლისში მოითხოვონ ამ პოლიტიკის შეცვლა, რომელსაც ინგლისის მთავრობა ახორციელებს.

შეჯამა რა პარლამენტის არჩევნების შედეგები, პოლიტმა აღნიშნა, რომ ლეიბორისტული პარტიის დამარცხებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ მემარჯვენე ფრთის ლიდერებს. მან თქვა, რომ მაშინ როცა ლეიბორისტულმა პარტიამ დაკარგა მილიონნახევარი ხმა, მეტწილ საარჩევნო ოლქებში, სადაც დასახელებული იყვნენ კომუნისტთა კანდიდატები, მიუხედავად ყველა დაბრკოლებისა, რომლებსაც მათ უქმნიდნენ, კომუნისტებისათვის მიცემული ხმების რაოდენობა წარსულ არჩევნებთან შედარებით გადიდდა.

პოლიტმა გააკრიტიკა კომუნისტური პარტიის მუშაობის სუსტი მხარეები, რომლებიც გამოვლინდა წინასაარჩევნო კამპანიის დროს, და მოუწოდა პარტიის განმტკიცებისაკენ. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა მუშათა კლასის ძალების ერთიანობა, განსაკუთრებით მშვიდობისათვის ბრძოლაში და წინააღმდეგობაში, რაც უნდა გაეწიოს მუშათა კლასის ცხოვრების დონეზე და უფლებებზე შეტევას, რომელსაც კონსერვატორთა მთავრობა ამზადებს. ამიტომ, თქვა პოლიტმა, საჭიროა განვითარდეთ და განვამტკიცოთ კომუნისტური პარტია.

იუგოსლავიის პრესა სსრ კავშირისა და იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის მთავრობათა მოლაპარაკებისა და დეკლარაციის შესახებ

ბელგრადი, 5 ივნისი. (საკდესი). სსრ კავშირისა და იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის მთავრობათა დეკლარაცია იუგოსლავიის გაზეთების ყურადღების ცენტრშია. გაზეთები აქვეყნებენ ამ დოკუმენტისადმი მიძღვნილ მოწინავე სტატიებსა და კომენტარებს, აგრეთვე უცხოეთის პრესის გამოხმაურებას. დღევანდელ მოწინავე სტატიაში გაზეთი „ბორბა“ წერს:

„იუგოსლავია-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკება ყოველ ეჭვს გარეშე შეუწყობს ხელს მსოფლიოში დადებითი პროცესების განვითარებას. ეს უწინარეს ყოვლისა იმის შედეგი იყო, რომ ამ მოლაპარაკებამ საბოლოოდ მოსპო არანორმალური მდგომარეობა იუგოსლავია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობაში, აგრეთვე იმიხა, რომ ამ მოლაპარაკების დროს ორმა მთავრობამ მხარი დაუჭირა დემოკრატიულ კონცეპციას საერთაშორისო ურთიერთობაში საერთოდ.

ამით ნამდვილად ბევრი რამ გაკეთდა არა მარტო ჩვენი ქვეყნების ურთიერთ ინტერესებისათვის, არამედ უფრო ფართო საერთაშორისო ინტერესებისთვისაც, რადგან ის, რაც მსოფლიოსათვის ყველაზე საჭიროა — მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობა, — შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას მხოლოდ ყველა ქვეყნის აქტიური თანამშრომლობის შედეგად, მათი იდეოლოგიის, პოლიტიკური რწმენის, რეჟიმისა და საზოგადოებრივი წყობილების განსხვავებათა მიუხედავად.

იუგოსლავია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის პროგრესი, რომელიც მიღწეულ იქნა ბელგრადში და ბრიონზე მოლაპარაკების დროს, კვლავ დასტურებს, რომ სწორია აქტიური საერთაშორისო თანამშრომლობის პოლიტიკა.

ჩვენ გულწრფელად მთელი ჩვენი ძალებით ვეცდებიდ, რომ საბჭოთა კავშირთან დავამყაროთ ის ურთიერთობა, რომელიც ასე ნათლად არის ჩამოყალიბებული იუგოსლავია-საბჭოთა კავშირის ერთობლივ დეკლარაციაში... სრულიად გაუზვიადებლად შეიძლება ითქვას, რომ ეს დოკუმენტი როგორც თავისი კონკრეტულობით, ისე თავისი დემოკრატიული შინაარსით დიდმნიშვნელოვან ადგილს დიკავებს კაცობრიობის საერთო ღონისძიებებში იმისათვის, რომ სახელმწიფოთა ურთიერთობა განვითარდეს ნამდვილად თანასწორუფლებიან და ნამდვილად დემოკრატიულ საფუძველზე.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ამ ნათლად ჩამოყალიბებულ, ღრმად დემოკრატიულ პლატფორმაზე წარმატებით განვითარდება იუგოსლავია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა და რომ გამოცხადებული პრინციპებისა და მიღებულ გადაწყვეტილებათა სულისკვეთებით მალე დაიწყება ღია საკითხების კონკრეტული გადაჭრა, ურთიერთობის სრული მოწესრიგება და კეთილაყოფიერი თანამშრომლობის განვითარება“.

გაზეთი „ნინი“ მოწინავე სტატიაში „ბელგრადის დეკლარაცია და საერთაშორისო მშვიდობა“ წერს:

„რა ასპექტითაც უნდა განიხილოთ იუგოსლავია-საბჭოთა კავშირის დეკლარაცია, იგი დიდი ისტორიული აქტია, რომლის საერთაშორისო მნიშვნელობაც მარტო იმით როდი ამოიწურება, რომ შეიქმნა ორი სახელმწიფოს ურთიერთობის საფუძველები.

დეკლარაციაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ მოლაპარაკების და აზრთა თავისუფალი გაცვლის მეთოდი იმ პრობლემებისა და საკითხების გადაჭრისადმი მიდგომის ერთადერთი მისაღები მეთოდია, რომლებიც არსებობს ცალკეული ქვეყნების ურთიერთობაში და საერთოდ მსოფლიოში. ამ მეთოდის გამოყენება, რომელიც აქტიური თანაარსებობის პრინციპის განხორციელების პირობაა, საერთაშორისო საკითხთა გადაჭრის ზოგიერთი სხვა მეთოდის, მაგალითად, დიქტატის მეთოდის საპირისპიროდ, თუ კეთილი ნება და გულწრფელობაა, ყოველთვის უზრუნველყოფს შესაძლებლობას, რომ გამოინახოს ბევრი რამ საერთო და ორივე მხარისათვის მისაღები, რაც ხელს უწყობს წინაალმდეგობათა შენელებას...

იმ ძირითადი პრინციპების ჩამოყალიბებას, რომლებითაც ორივე ქვეყანა ხელმძღვანელობდა დეკლარაციის შემუშავების დროს, უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს. ეს არის თანმიმდევრულად დემოკრატიული პრინციპები, ერთადერთი პრინციპები, რომლებზე დაყრდნობითაც შეიძლება განვითარდეს ნორმალური საერთაშორისო და სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობა...“

შემდეგ გაზეთი წერს: „ეხება რა კონკრეტულ არსებით საერთაშორისო საკითხებს, რომლებიც ხელს უშლიან მშვიდობის სტაბილიზაციას, დეკლარაცია რეკომენდაციას იძლევა მათი განხილვის დროს სახელმძღვანელოდ მიღებულ იქნას ძირითადი დემოკრატიული პრინციპები, როგორც ამის ერთადერთი გარანტია, რომ ისეთი რთული საკითხებიც კი, როგორიც არის გერმანიის საკითხი, შეიძლება გადაიჭრას გერმანელი ხალხის სურვილისა და ინტერესების შესაბამისად და უშიშროებისა და მშვიდობის განმტკიცების საერთო ინტერესების შესაბამისად. იგივეა ნათქვამი დეკლარაციაში კუნძულ ტაივანის მიმართ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერ უფლებათა დაკმაყოფილების შესახებ...“

„უცხოეთის პრესისა და მსოფლიო საზოგადოებრიობის დადებითი რეაგირება დეკლარაციის გამო, — განაგრძობს გაზეთი „ნინი“, მოწმობს არა მარტო იმას, რომ სწორია მისი პრინციპები, არამედ იმასაც, რომ მთელ მსოფლიოში იქმნება პირობები, რათა ეს პრინციპები არა მარტო ცხადდებოდეს, არამედ თანდათანობით პრაქტიკულადაც ხორციელდებოდეს და რათა მათს საფუძველზე შენდებოდეს ურთიერთობა იმ მაგალითისამებრ, რომელიც გვიჩვენეს იუგოსლავიის ფედერაციულმა სახალხო რესპუბლიკამ და სსრ კავშირმა“.

მოწინავის დასასრულს ნათქვამია:

„განსაზღვრავს რა დემოკრატიულ პრინციპებს, რომლებსაც უნდა ემყარებოდეს და კიდევაც უნდა დაემყაროს საერთაშორისო თანამშრომლობა, აგრეთვე თანმიმდევრულად იყენებს რა ამ პრინციპებს ურთიერთობის შემდგომი განვითარებისა და საერთაშორისო პრობლემთა გადაჭრის გზების განსაზღვრის დროს, იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის და სსრ კავშირის მთავრობათა დეკლარაცია გახდა დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო აქტი, რომლის თვითეული სტრიქონიც დიდი წვლილია მთელი მსოფლიოს მშვიდობის შენარჩუნების საქმეში, რაც ახლანდელ დროის მთავარი ამოცანაა“.

გაიხსნა პირდაპირი რადიოტელეფონის კავშირი სსრ კავშირსა და ინდოეთს შორის

4 ივნისს 15 საათსა და 15 წუთზე გაიხსნა პირდაპირი რადიოტელეფონის კავშირი საბჭოთა კავშირსა და ინდოეთს შორის.

რადიოტელეფონის კავშირის გახსნის გამო სსრ კავშირის კავშირგაბმულობის მინისტრმა ამხ. ნ. დ. პსურცევმა და ინდოეთის კავშირგაბმულობის მინისტრმა ბ-ნმა შრი ჯაგჯივან რამმა მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნეს ერთმანეთს.

ქვემოთ ქვეყნდება დეპეშების ტექსტები:

ინდოეთის კავშირგაბმულობის მინისტრს ბ-ნ შრი ჯაგჯივან რამს

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ინდოეთს შორის პირდაპირი რადიოტელეფონის კავშირის წარმატებით გახსნის გამო გულითადად მოგილოცავთ თქვენ და თქვენი სახით ინდოეთის კავშირგაბმულობის ყველა მუშაკს.

ჩვენს ქვეყნებს შორის პირდაპირი რადიოტელეფონის კავშირის დამყარება კავშირგაბმულობის პირდაპირ და სწრაფ საშუალებებზე არსებული მოთხოვნილების დაკმაყოფილებასთან ერთად კიდევ ერთი ნაბიჯია ჩვენი ქვეყნების ხალხთა დაახლოებაში, მეგობრობის, თანამშრომლობისა და კულტურული ურთიერთობის განმტკიცებაში, რაც ხელს უწყობს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას და საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებას.

ნება მიბოძეთ გისურვოთ, ბატონო მინისტრო, თქვენ და ეუსურვო კავშირგაბმულობის მუშაკებს შემდგომი წარმატებანი მუშაობაში, აგრეთვე პროგრესი და კეთილდღეობა ინდოეთის ხალხებს.

სსრ კავშირის კავშირგაბმულობის მინისტრი

ნ. პსურცევი.

სსრ კავშირის კავშირგაბმულობის მინისტრს ბ-ნ პსურცევს

ბედნიერი ვარ გავხსნა ეს პირდაპირი რადიოტელეფონის კავშირი ინდოეთსა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს შორის. ინდოეთსა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს შორის კავშირგაბმულობის ამ დიდმნიშვნელოვანი არხის გახსნით დაკმაყოფილებულია ჩვენს ორ ქვეყანას შორის კავშირგაბმულობის პირდაპირ და უფრო სწრაფ საშუალებებზე არსებული დიდი ხნის მოთხოვნილება. დარწმუნებული ვარ, რომ ეს კავშირგაბმულობა ხელს შეუწყობს ურთიერთმეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცებას. ამის გამო გულითად სალამს გიძღვნით. ჩემი თანამემამულენი, აგრეთვე პირადად მე შემდგომ პროგრესსა და კეთილდღეობას ვუსურვებთ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ხალხებს.

ინდოეთის კავშირგაბმულობის მინისტრი

შრი ჯაგჯივან რამი.

(საკდესი).

რუმინეთმა და ალბანეთმა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შესანახავად გადასცეს ვარშავის ხელშეკრულების სარატიფიკაციო სიგელები

ვარშავა, 5 ივნისი. (საკდესი). რუმინეთის სახალხო რესპუბლიკისა და ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩებმა პოლონეთში თავიანთი მთავრობების სახელით პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შესანახავად გადასცეს მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ვარშავის ხელშეკრულების სარატიფიკაციო სიგელები.

ამრიგად, ხელშეკრულების მე-10 მუხლის შესაბამისად, ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ყველა ქვეყანამ ჩაბარა შესანახავად პოლონეთის მთავრობას სარატიფიკაციო სიგელები, და ვარშავის ხელშეკრულება, რომელიც ევროპის 8 სახელმწიფომ დაამტკიცა, ძალაში შევიდა.

კომენტარს უკეთებს რა ამ მოვლენას გაზეთი „ტრიბუნა ლიუდუ“, დღეს წერს:

ვარშავის ხელშეკრულება, რომელიც დაიდო ევროპის სოციალიზმის ბანაკის ქვეყნებს შორის და რომელსაც მხარი დაუჭირა მძლავრმა სახალხო ჩინეთმა, დიდმნიშვნელოვანი წვლილია მშვიდობის დაცვისა და განმტკიცების საქმეში. სსრ კავშირის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, ბულგარეთის, რუმინეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ალბანეთის ხალხები სიხარულით მიეგებნენ ვარშავის ხელშეკრულებას, რადგან იგი მათთვის უშიშროების გარანტიაა, აგრესიის შეკავების იარაღია. ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს იმას, რომ ჩვენი პოლიტიკა სწორია და რომ მშვიდობისათვის ძნელ ბრძოლას გამარჯვება მოაქვს.

სპორტის ამბები

ევროპის ჩემპიონატი კრიკეტში

3 ივნისს გაიმართა ნახევარფინალური შეხვედრები ყველა წონაში. საბჭოთა ექვსი მოკრივედან შეჯიბრებაში გამარჯვება და ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვა ხუთმა სპორტსმენმა — ა. ზასუხინმა, ბ. სტეპანოვმა, კ. ჯანერიანმა, გ. შატკოვმა და ა. შოციკასმა. ვ. ენგიბარიანმა, რომელიც პირველ ქვესაშუალო წონაში გამოდიოდა, ქულებით წააგო შეხვედრა ევროპის ჩემპიონ დროგოშთან (პოლონეთი).

საერთაშორისო შეჯიბრება ფეხბურთში

ლენინგრადი. 4 ივნისი. ს. მ. კიროვის სახელობის სტადიონზე გაიმართა საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება ფეხბურთში რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის „ლოკომოტივის“ ნაკრებ გუნდსა და ლენინგრადის „ზენიტს“ შორის. გაიმარჯვეს რუმინელმა ფეხბურთელებმა ანგარიშით 1:0.

პოლონელ და საბჭოთა ფრენბურთელების შეჯიბრება

მოსკოვის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება ფრენბურთში სსრ კავშირისა და პოლონეთის ნაკრებ გუნდებს შორის. პირველი ორი პარტია მოიგეს სტუმრებმა, მომდევნო ორი შეხვედრა — საბჭოთა ფრენბურთელებმა. გადამწყვეტი, მეხუთე პარტია დამთავრდა სსრ კავშირის გუნდის სასარგებლოდ (15:13). საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება მოიგეს საბჭოთა ფრენბურთელებმა ანგარიშით 3:2.

* * *

3 ივნისს მოსკოვის „დინამოს“ სტადიონზე კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს სსრ კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ფრენბურთელთა ნაკრები გუნდები. სპორტულად საინტერესო ბრძოლა დამთავრდა პოლონელ ფრენბურთელთა გამარჯვებით 3:2.

საბჭოთა კალათბურთელების წასვლა საერთაშორისო შეჯიბრებაზე

4 ივნისს მოსკოვიდან უნგრეთში გაემგზავრა სსრ კავშირის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრები გუნდი. გუნდის შემადგენლობაში შედიან — სპორტის დამსახურებული ოსტატები ვ. ვლასოვი, ა. კონევი, ო. ქორქია, ა. მოისეევი, კ. პეტკაიჩუსი, გ. სილინში, სპორტის ოსტატები ა. ბოჩკარიოვი, ლ. რეშეტნიკოვი, მ. სემიონოვი, ს. სტონკუსი, ვ. ტორბანი და სხვ. წაიდა აგრეთვე გუნდის მწვრთნელი სპორტის დამსახურებული ოსტატი კ. ტრავინი.

საბჭოთა კალათბურთელები მონაწილეობას მიიღებენ შეჯიბრებაში ევროპის პირველობაზე, რომელიც ბუდაპეშტში გაიმართება. (საკდესი).

თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდის გამარჯვება

„ბ“ კლასის გუნდებს შორის წარმატებით იბრძვის თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლის ფეხბურთელთა კოლექტივი. არმიელმა სპორტსმენებმა მორიგი შეჯიბრება გამართეს ქ. მოლოტოვში ადგილობრივ გუნდთან და მოიგეს მატჩი ანგარიშით 3:1.

ამრიგად, თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლის ფეხბურთელთა კოლექტივმა მოწინააღმდეგეთა მოედნებზე გამართული სამი შეხვედრიდან სამივე მოიგო საერთო ანგარიშით 11:1. დღეისათვის თბილისელ ფეხბურთელებს 9 თამაშიდან შეგროვილი აქვთ 14 ქულა.

კვირადღე თგილისშინაარსი ბიბლიოთეკა

ლამაზია თბილისი ზაფხულობით. მწვანით შემოსილია მისი ქუჩები, პარკები და ბაღები. ათასფერად გადაშლილან ყვავილები გაზონებში, ყვავილნარებში.

კიდევ უფრო წარმტაცია თბილისის მიდამოები — მშრომელთა დასვენების საყვარელი ადგილები. კვირადღეს გათენებიდანვე დიდი მოძრაობაა ქალაქიდან მიმავალ გზატკეცილებზე. ერთიმეორის მიყოლებით მიჰქრიან ავტობუსები, მსუბუქი ავტომანქანები „თბილისის ზღვის“, ლისის ტბის, კოჯრის, მცხეთისა და სხვა მიმართულებით. ბევრი მშრომელი მიდის საკუთარი მანქანით, რომ მთელი ოჯახით კვირადღე ბუნების წიაღში გაატაროს, ზოგიც ტურისტული ბაზის ავტომანქანებით მიემგზავრება ღირსშესანიშნაობათა დასათვალიერებლად. გასულ კვირას ექსკურსანტების 25 ჯგუფი გავიდა ქალაქგარეთ. ესენი იყვნენ თბილისის 96-ე სკოლის მოსწავლეები, რომლებმაც დათვალიერეს ქალაქ მცხეთის უძველესი ისტორიული ძეგლები, ეწვივნენ საგურამოში ი. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმს. საგურამოში იყვნენ აგრეთვე საგალანტერიო ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეები. ამავე დღეს მოლოტოვის რაიონის მედიცინის მუშაკთა ჯგუფმა და ვოროშილოვის სახელობის კლუბის თანამშრომლებმა დათვალიერეს ქალაქ რუსთავის ახალმშენებლობანი.

დიდი გამოცოცხლება იყო ამ დღეს „თბილისის ზღვაზე“. აქ იყვნენ სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის, სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის, თბილისის ბევრი საწარმო-დაწესებულების მუშა-მოსამსახურეები და მათი ოჯახის წევრები.

* * *

სურათზე: ფეხსაცმლის 1-ლი ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეები კვირადღეს კატერით სეირნობენ „თბილისის ზღვაზე“.

ფოტო შ. გოქაძისა.

ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება“ № 2

გამოვიდა ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ მეორე ნომერი, რომელშიც გამოქვეყნებულია შემდეგი წერილები: მოწინავე — „ლენინის იდეების ძლევამოსილება“, „ლენინი ქართულ საბჭოთა ხელოვნებაში“, „ლენინის დღეები საქართველოში“, ოთარ ეგაძე — „დიდი მეგობრობა“, „საქართველოს ხელოვნების მუშაკთა საპატიო მოვალეობა“, შალვა მშველიძე — „საუკეთესო სიმღერებისა და ცეკვების შემქმნელი ხალხია“, დიმიტრი ჯანელიძე — „ალექსანდრე მრევლიშვილის ნაკლებადცნობილი ნაწარმოებები“, ლილი გეგარამაძე — „ხალხური ქორეოგრაფია ოლიმპიადაზე“, ოთარ ტყეშელაშვილი, ალეკო გეგეჭკორი — „ჩვენი რესპუბლიკის მხარეთმცოდნეობის მუზეუმებში“, ოთარ ჩიჯავაძე — „ქართული მრავალხმიანობის ზოგიერთი საკითხი“, გივი ბარამიძე — „ქართული საბჭოთა დეკორაციული მხატვრობის შესახებ“, რუბენ აგაბაბიანი — „ახალი წიგნი ქართული სამშენებლო ხელოვნების შესახებ“, სარედაქციო წერილი ვლადიმერ მაიაკოვსკიზე მისი გარდაცვალების 25-ე წლისთავთან დაკავშირებით, „გზეთების ფურცლებზე“ (ალაქალაქო და რაიონულ გაზეთებში გამოქვეყნებული რეცენზიების მიმოხილვა).

გარდა ამისა, ჟურნალში დაბეჭდილია მასალები თბილისის მუსიკალურ ცხოვრებაზე რუბრიკით „საკონცერტო დარბაზებიდან“ და ფოტოქრონიკები: „მხატვარ შ. მეტრეველის ნამუშევრები მეცხოველეობის თემებზე“, „ი ი რა არის სიმინდი“, „ქართული პიესა რუსულ სცენაზე“, „პორტ-არტური“ გრიბოედოვის სახელობის თეატრის სცენაზე“, „ეამო“ სომხური დრამის თეატრში“, „პერიკოლა“ მუსიკალური კომედიის თეატრში“, „ალაკი წერეთელი და გაბრიელ სუნდუკიანი“, „ვ. კანდელაკის „მაია წყნეთელი“ მარჯანიშვილის სახელობის თეატრში“.

პიონერთა სახლში

ხაშური. (საკ. კორ.). რაიონის პიონერთა სახლი სკოლებს ეხმარება მოსწავლეთა აღზრდისა და პოლიტექნიკური სწავლების უკეთ დაყენების საქმეში. ნაყოფიერად მუშაობენ ავიამოდელისტთა, ნორჩ ელექტროტექნიკოსთა, ფოტომოყვარულთა, ნორჩ ნატურალისტთა, რადიოტექნიკის, მხატვრული კითხვის და სხვა წრეები.

პიონერთა სახლის წრეებში მოსწავლეები დიდი ინტერესით ეცნობიან თვითმფრინავების, პლანერების, ეალქნიანი ნავების, ელექტრომოტორების მოწყობილობას და მათი მუშაობის თავისებურებებს, აკეთებენ მათ მოდელებს.

ამინდი

თბილისის ამინდის ბიუროს ცნობით 8 და 9 ივნისს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია მცირე მოღრუბლულობა, უმეტესად უნალექოდ. ქარი 0-5 მეტრი წამში. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 13-18, დღისით 23-28 გრადუსი; მთიან რაიონებში ღამით 8-13, დღისით 18-23 გრადუსი.

აღმოსავლეთ საქართველოში — ცვალებადი მოღრუბლულობა, ალაგ-ალაგ ხანმოკლე წვიმა და ელჭექი. ქარი 0-5 მეტრი წამში. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 13-18, დღისით 24-29 გრადუსი; მთიან რაიონებში ღამით 7-12, დღისით 19-24 გრადუსი.

რედაქტორი ნ. ჯაში.

დისერტაციების დაცვა

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

(უნივერსიტეტის ქ. № 1)

1955 წლის 18 ივნისს დღის 1 საათზე № 93 აუდიტორიაში ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

ოთარ ნიკოლოზის-ძე ჯუღელი

დაიცავს დისერტაციას თემაზე: „შემეცნებაში აღქმის როლის საკითხისათვის“.

1955 წლის 22 ივნისს დღის 1 საათზე № 107 აუდიტორიაში ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

ნიკოლოზ კონსტანტინეს-ძე ბაბაევი

დაიცავს დისერტაციას თემაზე: „Грамматика осетинского языка“, ч. 1 (Фонетика и морфология) и ч. II (синтаксис).

დისერტაციების გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური სასწავლებელი აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1955-56 სასწავლო წლისათვის. მომავალ სასწავლო წლიდან სასწავლებელში იხსნება შემდეგი განყოფილებები:

1. **სკოლამდელი** — ქართული (ამზადებს სამაგვარო ბაღის მასწავლებლებს);
2. **სასკოლო** — ა) ქართული (ამზადებს დაწყებითი სკოლის მასწავლებლებს); ბ) რუსული (ამზადებს დაწყებითი სკოლის რუსული ენის მასწავლებლებს);

შენიშვნა — სწავლების ხანგრძლივობა ორი წელია. პირველ კურსზე მიიღებიან ორივე სქესის ახალგაზრდები 30 წლამდე, რომლებსაც დამთავრებული აქვთ საშუალო სკოლა.

მისაღები გამოცდები მოეწყობა (საშუალო სკოლის პროგრამის მიხედვით) შემდეგ საგნებში: ქართულ ენასა და ლიტერატურაში — წერა — თხზულება (ქართული განყოფილებისათვის); რუსულ ენასა და ლიტერატურაში — წერა-კარნახი (ყველა განყოფილებისათვის); სსრ კავშირის ისტორიაში — ზეპირი (ყველა განყოფილებისათვის). უგამოცდოდ ჩაირიცხებიან საშუალო სკოლის დამთავრებისას „წარჩინებული სწავლისა და სამაგალითო ყოფაქცევისათვის“ ოქრის და ვერცხლის მედლით დაჯილდოებულნი.

პედსასწავლებელში შესვლის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ დირექტორის სახელზე დაწერილი განცხადება, შემდეგი სამუთებით. საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატი (დედანი), დაბადების მოწმობა, ავტობიოგრაფია, სამი ფოტოსურათი 3×4 სმ. (დამოწმებული), ჯანმრთელობის ცნობა, სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულების ცნობა (ვაჟებისათვის), ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან.

განცხადებაში აღნიშნული უნდა იყოს განყოფილება, რომელზეც სურს შემსვლელს ჩარიცხვა.

პედსასწავლებელში ჩარიცხულები უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით საერთო წესით.

განცხადებები მიიღება 31 ივლისამდე. გამოცდები დაიწყება 10 აგვისტოს. დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება პედსასწავლებელში ყოველდღე, დილის 9 საათიდან საღამოს 4 საათამდე.

მისამართი: ქ. ქუთაისი, წულუკიძის ქუჩა № 22.

მეუღლე ლევან, შვილი არველოდი, მამა კოლია ოჯახით იუწყებიან

ჩუტულა ნიკოლოზის ასულ გოგორიშვილი-კუჭუხიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 9-VI მაიაკოვსკში.

მეუღლე, შვილი, ძმა, ოჯახი, ნათესავები

ალექსანდრე ოსიბის-ძე ნებაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 9-VI ქ. სოხუმში, გამოსვენება ბინიდან—ენგელსის ქ. № 22.

მეუღლე ვასო, შვილები ნანული, მზია იუწყებიან

ნადია ოსიბის ასულ წერეთელაშვილი-ბალავაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 7, 8-VI, 8 ს. გამოსვენება 9-VI, 6 ს. ანაგის ქ. № 35 (საბურთალო).

მეუღლე ნინო, შვილები დათო, მელიტა ოჯახით იუწყებიან

**გიორგ